პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

ხუთშაბათი, 3 თებერვალი, 1949 წ. № 24 (8327). ფასი 20 კაპ.

ი. ბ. სტალინის პასუხი კინგსბერი სმიტის დეპეშაზე

1 თებერვალს ამერიკის სააგენტოს „ინტერნეიშენლ ნიუს სერვისის" ევროპის გენერალურმა დირექტორმა კინგსბერი სმიტმა ი. ბ. სტალინს პარიზიდან გამოუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„გენერალისიმუს იოსებ სტალინს,
კრემლი, მოსკოვი

თქვენო აღმატებულებავ,

თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჩარლზ როსმა დღეს განაცხადა, რომ პრეზიდენტი ტრუმენი მოხარული იქნებოდა შესაძლებლობა ჰქონოდა ეთათბირნა თქვენთან ვაშინგტონში. მზად იქნებით თუ არა თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, წაბრძანდეთ ამ მიზნით ვაშინგტონს. თუ არა, მაშინ სად ინებებდით შეხვედროდით პრეზიდენტს.

ღრმა პატივისცემით
კინგსბერი **სმიტი**,
სააგენტო „ინტერნეიშენლ ნიუს სერვისის"
ევროპის გენერალური დირექტორი".

ი. ბ. სტალინმა კინგსბერი სმიტს შემდეგი პასუხი გაუგზავნა:

„ბატონ კინგსბერი **სმიტს**,
სააგენტო „ინტერნეიშენლ ნიუს სერვისის"
ევროპის გენერალურ დირექტორს
პარიზი

თქვენი 1 თებერვლის დეპეშა მივიღე.

მადლობელი ვარ პრეზიდენტ ტრუმენისა ვაშინგტონს მიწვევისათვის. ვაშინგტონს ჩასვლა ჩემი დიდიხნის სურვილია, რის შესახებ თავის დროზე ველაპარაკე პრეზიდენტ რუზველტს იალტაში და პრეზიდენტ ტრუმენს პოტსდამში. სამწუხაროდ, ამჟამად მოკლებული ვარ შესაძლებლობას განვახორციელო ჩემი ეს სურვილი, რადგან ექიმები გადაჭრით წინააღმდეგი არიან ჩემი რამდენადმე ხანგრძლივი მოგზაურობისა, მეტადრე ზღვით ან ჰაერით.

საბჭოთა კავშირის მთავრობა მიესალმებოდა პრეზიდენტის სსრ კავშირში ჩამოსვლას. შესაძლებელი იქნებოდა თათბირის მოწყობა მოსკოვში ან ლენინგრადში, ანდა კალინინგრადში, ოდესაში ან იალტაში,—პრეზიდენტის არჩევანის მიხედვით, თუ, რასაკვირველია, ეს პრეზიდენტისათვის რაიმე მხრივ უხერხული არ იქნება.

მაგრამ, თუ ეს წინადადება საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოიწვევს. შესაძლო იქნებოდა შეხვედრის მოწყობა პოლონეთში ან ჩეხოსლოვაკიაში,—პრეზიდენტის შეხედულებისამებრ.

პატივისცემით
ი. სტალინი
1949 წლის 2 თებერვალი".

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის IX საოლქო და VIII საქალაქო გაერთიანებული კონფერენცია

1 თებერვალს გაიხსნა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის IX საოლქო და VIII საქალაქო გაერთიანებული კონფერენცია.

კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი სადღესასწაულოდ არის მორთული. ალისფერ ფონზე მოჩანს დიდი ბელადების, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელთა — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები. მკაფიოდ გამოირჩევა მოწოდების სიტყვები: „ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით—წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!"

ნაშუადღევის 3 საათისათვის სვეტებიანი დარბაზი გაივსო კონფერენციის დელეგატებით. მოსკოველი ბოლშევიკები — ლენინ-სტალინის პარტიის მოწინავე რაზმის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რათა შეაჯამონ დიდი შემოქმედებითი მუშაობის შედეგები და დასახონ დიად სტალინურ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის შემდგომი ბრძოლის გზები.

პრეზიდიუმის მაგიდასთან ამხანაგების კ. ე. ვოროშილოვის, ნ. მ. შვერნიკის, მ. თ. შკირიატოვის, გ. მ. პოპოვის, საოლქო და საქალაქო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა გამოჩენას კონფერენციის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. მ. პოპოვმა გახსნა კონფერენცია და მოკლე შესავალი სიტყვით დაახასიათა მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მიერ 9 წლის მანძილზე განვლილი გზა, მისი მუშაობა ომის წინა დროს, დიდი სამამულო ომის პერიოდში და ომისშემდგომ წლებში, როცა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა წინაშე ახალი გრანდიოზული ამოცანები დაისახა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად.

ამხ. პოპოვი დელეგატების ტაშის გრიალში ამბობს, რომ მოსკოვის საოლქო ორგანიზაცია თავის კონფერენციაზე მოვიდა წინანდელზე უფრო ერთიანი და დარაზმული საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გარშემო.

ამხ. პოპოვის წინადადებით კონფერენციის დელეგატებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეების მ. ი. კალინინის, ა. ა. ჟდანოვისა და ა. ს. შჩერბაკოვის ხსოვნას.

შემდეგ ირჩევენ კონფერენციის ხელმძღვანელ ორგანოებს. დელეგატები ერთსულოვნად ირჩევენ კონფერენციის პრეზიდიუმს 45 კაცის შემადგენლობით.

დელეგატები მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით ეგებებიან წინადადებას კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ. საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ ამხანაგ ი. ბ. სტალინს, ამხანაგებს ვ. მ. მოლოტოვს, ლ. პ. ბერიას, გ. მ. მალენკოვს, კ. ე. ვოროშილოვს, ა. ი. მიქოიანს, ა. ა. ანდრეევს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. ა. ვოზნესენსკის, ნ. ა. ბულგანინს, ნ. მ. შვერნიკს და ა. ნ. კოსიგინს.

დელეგატები აღფრთოვანებით დგებიან და მქუხარე ოვაციას უმართავენ ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ ი. ბ. სტალინს და მის ერთგულ თანამებრძოლთ. დარბაზში გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ და საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს!", „დიდება ამხანაგ სტალინს!".

სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიების არჩევის შემდეგ ამტკიცებენ კონფერენციის დღის წესრიგს:

1. საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მუშაობის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მუშაობის ანგარიში.
3. საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. მ. პოპოვმა, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

ამხანაგ პოპოვის მოხსენების შემდეგ კონფერენციის პირველი სხდომა დამთავრდა. (საკდესი).

რეზოლუცია

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობისა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენება ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს თვლის სწორად და პრაქტიკულ მუშაობას — დამაკმაყოფილებლად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობის დროიდან განვლილი პერიოდი უდიდესი ისტორიული მოვლენებით აღინიშნა, ამ მოვლენათაგან ყველაზე მნიშვნელოვანს, რომელმაც მსოფლიო განვითარების მთელი შემდგომი მსვლელობა განსაზღვრა, წარმოადგენს საბჭოთა ხალხის სახელოვანი გამარჯვება დიდ სამამულო ომში.

საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებსაც დიდი სტალინის მხედართმთავრული გენია წარმართავდა, გაანადგურეს საბჭოთა სახელმწიფოს ყველაზე საშიში მტრები — ფაშისტური გერმანია და იმპერიალისტური იაპონია, ომის ეს ორი კერა დასავლეთსა და აღმოსავლეთში.

ომის წლებში საქართველოს მშრომელები, ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მთელ თავიანთ ძალებს ახმარდნენ მტერზე გამარჯვების საქმეს. ქართველი ხალხის ასიათასობით შვილები იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტებზე, თავდადებულად იცავდნენ საბჭოთა სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ზურგში დარჩენილი მთელი მოსახლეობა განსაკუთრებული აღმავლობით მუშაობდა საწარმოებში, შახტებში, კოლმეურნეობათა მინდვრებსა და პლანტაციებში. სახელოვანი საბჭოთა არმიის მოსამარაგებლად საჭირო იარაღის, საომარი მასალების, ჩაცმულობის, სურსათის წარმოების გეგმები დიდი გადაჭარბებით სრულდებოდა. ომის წლებში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა შეინარჩუნეს სამრეწველო წარმოების მაღალი დონე. მოპოვებულ იქნა სერიოზული წარმატებანი მარცვლეულისა და კარტოფილის ნათესის გაფართოებასა და წარმოების გადიდებაში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ომიანობის დროის ძნელ პირობებში მოსახლეობის მომარაგების უზრუნველსაყოფად.

ომის შედეგმა ცხადყო, რომ ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა, ჩვენმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა წყობილებამ ღირსეულად ჩააბარეს უდიდესი გამოცდა. საბჭოთა კავშირი ომიდან უფრო მეტად განმტკიცებული და ძლიერი გამოვიდა. ძლევამოსილი საბჭოთა არმიის დახმარებით აღმოსავლეთ ევროპის ხალხებმა ბურჟუაზიისა და მემამულეთა უღელი მოიშორეს და სოციალისტური განვითარების გზას დაადგნენ.

მშვიდობის დამყარების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ყველაზე აგრესიულმა ჯგუფებმა დაიწყეს გამალებული მზადება ახალი ომისათვის. მაგრამ, როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს: „ხალხთა ხსოვნაში მეტად ცოცხალია ამასწინანდელი ომის საშინელებანი და მეტად დიდია საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ მშვიდობას, და ჩერჩილის მოწაფეებს აგრესიის დარგში არ ძალუძთ მათი დაძლევა და ახალი ომისაკენ მიბრუნება".

საბჭოთა კავშირის ხალხები, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, წარმატებით ახორციელებენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ახალ სტალინურ ხუთწლიან გეგმას. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში საბჭოთა კავშირის მრეწველობამ 103 პროცენტით შეასრულა. ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობასა და კულტურულ მშენებლობაში. დღითი დღე მაღლდება მშრომელთა კეთილდღეობის დონე. სწრაფად იზრდება დიადი საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობა აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ომისშემდგომ პერიოდში დიდი მუშაობა გასწიეს. მრეწველობის ძირითადმა დარგებმა მიაღწიეს და მნიშვნელოვნად გადააჭარბეს წარმოების ომამდელ დონეს. საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) სათავეში უდგას მშრომელთა აქტივობას და უზრუნველყოფს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ძირითად დავალებათა ვადამდე შესრულებას.

რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ 1948 წელს 15,5 პროცენტით გადააჭარბა 1947 წლის დონეს, 29,5 პროცენტით — 1940 წლისას და შეადგინა ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის გათვალისწინებული საერთო პროდუქციის მოცულობის 86,9 პროცენტი.

საქართველოს მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთწლედის პირველი სამი წლის გეგმა 112,2 პროცენტით შეასრულა. საანგარიშო პერიოდში საქართველოს ქვანახშირის მრეწველობა სწრაფი ტემპით იზრდებოდა. ქვანახშირის შახტების საერთო სიმძლავრე 1948 წელს, ომამდელ 1940 წელთან შედარებით, 170 პროცენტით გაიზარდა, ამასთან ქვანახშირის მოპოვება გაორკეცდა.

ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურებისა და ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეორე აგრეგატის აგებისა და ამუშავების შემდეგ საქენერგოს სისტემის ელექტროსადგურების სიმძლავრე 1948 წელს, 1940 წელთან შედარებით, 85 პროცენტით გადიდდა, ამასთან ელექტროენერგიის გამომუშავება 61,8 პროცენტით გაიზარდა.

განუხრელად აძლიერებს მადნის მოპოვების ტემპს მარგანეცის მრეწველობა.

ომისშემდგომ პერიოდში საქართველოში განსაკუთრებით ვითარდება მძიმე ინდუსტრია. საქართველოს ყველაზე დიდი სამშენებლო ობიექტის — ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკის მრეწველობის ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება თითქმის ერთიორად გაიზრდება.

წარმოების ომამდელ დონეს გადააჭარბა ჩაის, თამბაქოს, ტუნგოს, საფეიქრო და საკონსერვო მრეწველობამ. საანგარიშო პერიოდში ამიერკავკასიის რკინიგზის სიგრძე საქართველოს ფარგლებში 219 კილომეტრით გაიზარდა. სერიოზული მუშაობაა გაწეული რკინიგზის ელექტროფიკაციის დარგში.

საქართველოს სოფლის მეურნეობამ ღირსეულად ჩააბარა ომიანობის დროის გამოცდა. მრავალწლიანი კულტურები, რომლებიც ჩვენი კოლმეურნეობების ძირითად სიმდიდრეს შეადგენენ, შენარჩუნებულ იქნა ისე, რომ დიდად არ დაზარალებულან. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში მიღწეულია სერიოზული წარმატება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, პირუტყვის სულადობის გაზრდისა და ძვირფასი მრავალწლიანი ნარგავების ფართობის გადიდების საქმეში. მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი 1948 წელს, 1940 წელთან შედარებით, გადიდდა 31 ათასი ჰექტარით, ხოლო მარცვლეულის საერთო მოსავალი — ერთნახევარჯერ.

რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გადაჭარბებით ასრულებენ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო დამზადების გეგმებს. შარშან სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარდა: 5.400 ტონა ჩაის ძირითადი ფოთოლი, 115,5 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, 75.077 ცენტნერი ყურძენი და, 25 იანვარს არსებული მდგომარეობის მიხედვით, 21.000 ცენტნერი თამბაქო. 1948 წელს სახელმწიფოს 2,5-ჯერ მეტი მარცვლეული ჩაბარდა, ვიდრე 1940 წელს.

სწრაფად იზრდება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კეთილდღეობა. საქართველოს კოლმეურნეობების ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება 1940 წელთან შედარებით 162,7 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვნად გადიდდა შრომადღის ანაზღაურება.

ომისშემდგომ პერიოდში საქართველოს მშრომელთა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალურმა დონემ სწრაფად იწყო ამაღლება. სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის განკუთვნილი ხარჯები საანგარიშო პერიოდში თითქმის ერთიორად გაიზარდა. მომარაგების საბარათო სისტემის გაუქმების და ფულის რეფორმის გატარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საცალო სავაჭრო ქსელი და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი.

დიდი სახსრები იქნა დაბანდებული ქალაქების, რაიონული ცენტრების კომუნალურ მეურნეობაში, ბინებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობების მშენებლობაში.

სერიოზული წარმატებებია მოპოვებული მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში. დიდია მზრუნველობა ომის ინვალიდებისა და ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული საბჭოთა მეომრების ოჯახებისადმი.

საანგარიშო პერიოდი ხასიათდება სახალხო განათლების მთელი საქმის ახალი აღმავლობით. მომზადებულია პირობები უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებისათვის ქალაქად 11-წლიანი სკოლისა და სოფლად 8-წლიანი სკოლის მოცულობით.

გაუმჯობესდა უმაღლესი სკოლის მუშაობა. მტკიცდება უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მატერიალური ბაზა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში და ომისშემდგომ წლებში საქართველოს საბჭოთა ხელოვნება და ლიტერატურა შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის გზით მიდიან.

რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის ყველა წარმატება უზრუნველყო პარტიული ორგანიზაციების წარმმართველმა და ხელმძღვანელმა როლმა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები თავიანთ მოღვაწეობაში ჯეროვან ადგილს უთმობენ შინაპარტიული ცხოვრების, ორგანიზაციული და პროპაგანდისტულ-სააგიტაციო მუშაობის დაყენების საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია 87 პროცენტით გაიზარდა და 1949 წლის 1 იანვრისათვის მასში 166.367 კომუნისტი ითვლებოდა. ყრილობის წინ საანგარიშო-საარჩევნო კრებები და პარტიული კონფერენციები მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ კომუნისტების ბოლშევიკურად აღზრდას და მათი პოლიტიკური დონის ამაღლებას.

მიმდინარე სასწავლო წელს პარტიული განათლება გაცილებით უკეთესად არის მოწყობილი, ვიდრე წინათ იყო. გადიდებულია რაოდენობა წრეებისა და პოლიტსკოლებისა იმ კომუნისტებისათვის, რომლებსაც სათანადო პოლიტიკური მომზადება და წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები არა აქვთ. დიდი ყურადღება ეთმობა კადრების პოლიტიკურ თვითგანათლებას.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მთელი იდეოლოგიური მუშაობის აღმავლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის დამაარსებლებისა და ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემას ქართულ ენაზე.

დიდი ყურადღება ექცევა ხელმძღვანელ მუშაკთა მომზადებასა და გადამზადებას და ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალი კადრების დაწინაურებას.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების წარმატებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის დარგში მიღწეულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მხრივ მუდმივი დახმარების მეოხებით. ეს წარმატებანი მიღწეულია პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორი შეხამების შედეგად.

ზემოაღნიშნულ მიღწევებთან ერთად ყრილობა აღნიშნავს სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ცალკე უბნებზე მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებს.

როგორც მუშაობის საერთო ნაკლს მრეწველობის დარგში, ყრილობა აღნიშნავს ზოგიერთი სამინისტროს და მშენებლობის მიერ კაპიტალური მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობას. განსაკუთრებით ცუდადაა მშენებლობის საქმე ხორცის, რძისა და საფეიქრო მრეწველობის ხაზით.

ქვანახშირის მოპოვების სახელმწიფო გეგმა ჯერ კიდევ ვერ სრულდება. ჩამორჩება ნავთის საძიებო სამუშაოები.

ჯერ კიდევ არის საწარმოთა მიერ ასორტიმენტის დარღვევისა და დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების ფაქტები.

სერიოზული ნაკლოვანებები აქვს კავშირგაბმულობისა და რადიოფიკაციის დარგში მუშაობას.

ყრილობა აღნიშნავს, რომ, სოფლის მეურნეობის დარგში აშკარა წარმატებათა მიუხედავად, მთელი რიგი რაიონები და კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო კულტურების, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების დაბალ მოსავალს იღებენ. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ზოგიერთ კოლმეურნეობაში კვლავ არის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის შემთხვევები.

ყრილობას მიაჩნია, რომ მრეწველობის საწარმოების, აგრეთვე მთელი რიგი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი მათდამი ცალკეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების სუსტი ხელმძღვანელობისა და პარტიული მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენების შედეგია.

ცალკეული პარტიული ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ უთმობენ მოსახლეობაში მასობრივი პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობას საჭიროდ მიაჩნია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში

აღნიშნავს რა, რომ თუმცა ქვანახშირის მოპოვება საერთოდ გაიზარდა, მაგრამ საქართველოს ქვანახშირის მრეწველობა ჯერ კიდევ ვერ ასრულებს სახელმწიფო გეგმას, ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიოს ქვანახშირის მრეწველობას და განახორციელოს ღონისძიებანი საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ტრესტებისა და შახტების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყოს ქვანახშირის მოპოვების სახელმწიფო გეგმის აუცილებელი შესრულება.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალი შახტების მშენებლობას და მათს დროულად გადაცემას საექსპლოატაციოდ.

მიღებულ იქნას საჭირო ზომები საქნავთის ტრესტის მუშაობის გასაუმჯობესებლად, რათა უახლოეს წლებში განხორციელდეს ყველაზე მეტი პერსპექტივის მქონე ნავთიანი ფართობების გამოკვლევა და შეიქმნას პირობები მათი სამრეწველო ექსპლოატაციისათვის.

ყრილობა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლის ჰიდროენერგომშენებლობის ყოველმხრივ განვითარებას და, პირველ რიგში, ჩითახევის, სამგორისა და შაორის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დამთავრებისა და 1949-1951 წლების განმავლობაში მათი ამუშავების უზრუნველყოფას, აგრეთვე საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ფართოდ გაშლას წყლის უმნიშვნელოვანეს არტერიებზე.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს უზრუნველყოს მარგანეცის სასაქონლო მადნის გამოშვების გადიდება მაღაროებში საწარმოო პროცესების მექანიზაციის ყოველმხრივ გაძლიერებისა და მექანიზმების წარმადობის გადიდების გზით, მიიღოს ზომები ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობის დროულად დამთავრებისათვის.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს განსაკუთრებული მეთვალყურეობა გაუწიოს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ასამუშავებელი ობიექტების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის სამუშაოებს, უზრუნველყოს მიმდინარე წელს პირველი ნადნობი ფოლადისა და ნაგლინის გამოშვება და ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობის სამუშაოთა დაჩქარება.

ყრილობა აღნიშნავს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობის არადამაკმაყოფილებელ მიმდინარეობას და ავალებს ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს გადამწყვეტი ზომები ამ საწარმოს მშენებლობის დასაჩქარებლად, რათა ქარხანამ უზრუნველყოს ავტომანქანების გამოშვება ხუთწლიანი გეგმის კანონით დადგენილ ვადებში.

უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს ცემენტისა და შიფერის ქარხნების გაფართოების, აგურ-კრამიტის საწარმოთა გაფართოებისა და მშენებლობის სამუშაოთა დროულად დამთავრება, მიღებულ იქნას ზომები მათი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

უზრუნველყოფილ იქნას მოსაპირკეთებელი ქვისა და ინერტული მასალების კარიერების გაფართოება და მექანიზაცია.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს, საქალაქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს ყოველმხრივ განავითარონ ადგილობრივი მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია, უზრუნველყონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

მიღებულ იქნას საჭირო ზომები გორის ბამბეულის კომბინატის მშენებლობის და მაუდისა და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკების გაფართოების სამუშაოთა დროულად დამთავრებისათვის.

ყრილობას საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანად მიაჩნია ჩაის მრეწველობის საწარმოო-ტექნიკური ბაზის გაფართოების უზრუნველყოფა, ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა და ქართული ჩაის ხარისხის მაქსიმალური გაუმჯობესება.

სერიოზული ყურადღება მიექცეს მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის შემდგომი განვითარების, პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს.

განხორციელდეს ღონისძიებანი მაღალხარისხოვანი მარკიანი და დაძველებული ღვინოების გამოშვების, შამპანურისა და კონიაკის წარმოების გასადიდებლად.

ყრილობა ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამიერკავკასიის რკინიგზის მიერ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას და რკინიგზის რენტაბელურ მუშაობას.

ყრილობა ავალებს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს განსაკუთრებული მეთვალყურეობა გაუწიოს ახალ სარკინიგზო მშენებლობას, რკინიგზის ლიანდაგთა და ნაგებობათა რემონტს, სადგურების კეთილმოწყობას, უზრუნველყოს მგზავრთა მომსახურების გადაჭრით გაუმჯობესება.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზოლუცია

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობისა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

(დასასრული)

მიღწეულ იქნას ნედლეულისა და მასალების, სათბობის და ელექტროენერგიის ყაირათიანად და მომჭირნეობით ხარჯვა და შინაგანი რეზერვების გამონახვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი მნიშვნელოვანი შემცირება და მრეწველობის მუშაობის რენტაბელობის ამაღლება.

გაძლიერდეს ყურადღება ახალი საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობის და არსებული გზების რემონტისა და მოვლის გაუმჯობესების საკითხებისადმი, ყოველმხრივ წახალისებულ იქნას მოსახლეობის მონაწილეობა ამ საქმეში.

ცენტრალურმა კომიტეტმა, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი ზომები მიიღონ ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის ზუსტი და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად და დასახონ გაშლილი ღონისძიებანი რადიოფიკაციის გაფართოებისათვის, განსაკუთრებით სოფლად.

სოფლის მეურნეობის დარგში

ყრილობა ავალებს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველყონ სოფლის მეურნეობაში მიღწეულ წარმატებათა განმტკიცება და მათი შემდგომი ყოველმხრივი განვითარება.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მთელი მუშაობა საჭიროა წარიმართოს ისე, რომ შესრულებულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება და ამხანაგ სტალინის მითითებანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის და მოსახლეობისათვის სურსათის, მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნისა და სურსათისა და ნედლეულის აუცილებელი სახელმწიფო რეზერვების დაგროვების შესახებ.

სოფლად პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩაითვალოს კოლმეურნეობათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, მათი სამეურნეო საქმიანობის გაძლიერება, ყველა კოლმეურნის ჩაბმა აქტიურ საწარმოო მუშაობაში და სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელად დაცვა ყველა კოლმეურნეობაში.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მნიშვნელოვანი გაძლიერების, ახალი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მოწყობის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების კეთილმოწყობის დარგში და გააძლიეროს ყურადღება სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმისადმი.

ყრილობას საქართველოს პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია ჩაის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა, ჩაის პლანტაციების ფართობის აყვანა 1957 წლისათვის 70.000 ჰექტარამდე და მათი მოსავლიანობის გადიდება იმ ვარაუდით, რომ 1958 წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საერთო მოსავალი აყვანილ იქნას 193.000 ტონამდე.

სუბტროპიკული რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უზრუნველყონ ციტრუსოვანთა პლანტაციების მოსავლიანობის გადიდება იმ ვარაუდით, რომ 1955 წლისათვის ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება აიყვანონ 2-2,5 მილიარდ ცალამდე; 1955 წლის დამლევისათვის ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობი გაადიდონ 40.000 ჰექტარამდე.

ყრილობა ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველყონ ევკალიპტის ნარგავების მოვლის გაუმჯობესება და 1955 წლის დამლევისათვის მათი რაოდენობა აიყვანონ 100 მილიონ ძირამდე, ამასთან დასავლეთ საქართველოს რაიონებში ევკალიპტის ნარგავები გააშენონ 11 სახელმწიფო ქარსაფარი ზოლის სახით, რომელთა საერთო სიგრძე 700 კილომეტრი იქნება.

ყრილობა ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს, სასოფლო-სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებს გააუმჯობესონ ვენახების მოვლა და გააძლიერონ ახალი ვენახების გაშენების ტემპი. ვენახების ფართობი 1955 წლის დამლევისათვის აიყვანონ 75.000 ჰექტარამდე, რისთვისაც სანიმუშო მდგომარეობაში მოიყვანონ ფილოქსერაგამძლე ვაზის არსებული სადედეები. ამავე დროს 1949-1950 წლებში გააშენონ 500 ჰექტარი ახალი სადედეები, რათა თვითეულმა რაიონმა უზრუნველყოს თავისი მოთხოვნილება საძირე მასალაზე.

ყრილობა ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ ხეხილის ბაღების შემდგომი გაფართოება, არსებული ბაღების მოვლის ძირეული გაუმჯობესება და მათი მოსავლიანობის გადიდება, პირველ რიგში ქართლისა და მესხეთის სამრეწველო მეხილეობის რაიონებში.

ყრილობა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას უმნიშვნელოვანეს ამოცანად უსახავს უახლოესი 8-10 წლის განმავლობაში მარცვლეული კულტურების (ხორბლის, სიმინდის, ქერის) მოსავლიანობის გადიდებას 30-40 პროცენტით, რათა პურის დამზადება 1948 წელთან შედარებით გადიდდეს ერთისამად მაინც და რესპუბლიკის მოსახლეობა ძირითადად უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივი პურით. ამ მიზნით უზრუნველყოფილ იქნას თესლბრუნვათა შემოღება და ათვისება, ნიადაგის დამუშავების ხარისხის გაუმჯობესება და ხორბლისა და სიმინდის უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მრავალწლიანი ბალახების თესლის მოყვანას და ბალახთესვის გაფართოებას შემოღებულ თესლბრუნვათა შესაბამისად.

ყრილობა ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ თესლბრუნვის შემოღებასა და მრავალწლიანი ნარგავების გაშენებასთან დაკავშირებით სახნავი მიწის დანაკლისის ანაზღაურება ახალი ფართობების ათვისებით. ამ მიზნით დაჩქარდეს დაჭაობებული მიწების ამოშრობის, ახალი მიწების მორწყვის, აგრეთვე ნასვენი და ნაჩხატი მიწების ათვისების სამუშაოები.

1951 წლისათვის მიღწეულ იქნას თამბაქოს მოსავლის გადიდება 30 პროცენტით 1948 წელთან შედარებით, რათა სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ჩაბარება აყვანილ იქნას 20.000 ტონამდე ყოველწლიურად.

გატარდეს ღონისძიებანი წყალთა მეურნეობის სამუშაოთა გასაძლიერებლად, ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობის გასაფართოებლად იმ ვარაუდით, რომ უახლოესი 7-8 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნას აღმოსავლეთ საქართველოს და იმერეთის მთელი დაბლობი ნაწილის მორწყვა.

ამ დარგში პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის, როგორც სახალხო მშენებლობის, წარმატებით დამთავრება, რამაც 37,5 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები უნდა მოგვცეს.

ახალი მიწების უფრო სწრაფი ათვისების მიზნით გაძლიერდეს მუშაობა მცირემიწიანი რაიონებიდან კოლმეურნეთა ორგანიზებული გადასახლებისათვის კოლხიდაში და საქართველოს სს რესპუბლიკის სხვა რაიონებში, სადაც მიწის სიუხვეა. ამავე დროს ჩატარდეს წინასწარი სამუშაოები სამგორის ველის იმ მიწებზე დროზე დასახლების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ასათვისებლად მზადდება.

ყრილობა ავალებს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმის შესრულებასთან ერთად განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების, მისი პროდუქტიულობის გადიდებისა და მეცხოველეობის საკვები ბაზის გაფართოების დარგში.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად ჩაითვალოს მინდორსაცავი ტყის ზოლების ფართოდ გაშენება, უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში.

ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშაოს და განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი ტყეებისა და ტყესაცავი ზოლების გაშენების დარგში, იმ ვარაუდით, რომ ტყეები პირველ რიგში გაშენდეს ქალაქ თბილისის ახლოს მდებარე რაიონებში.

ყრილობა ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს მტკიცედ მოკიდონ ხელი სოფლის ელექტროფიკაციის საქმეს, უზრუნველყონ სასოფლო ელექტროსადგურების მშენებლობის დარგში დავალებათა აუცილებლად შესრულება.

მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის აღმავლობის დარგში

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს სისტემატურად იმუშაონ ქალაქების კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებისათვის, შეეცადონ რაც შეიძლება უფრო მიზანშეწონილად გამოიყენონ სახელმწიფოს მიერ ამ მიზნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრები და მასალები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას და არსებული საცხოვრებელი ფონდის შენარჩუნებას, ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ქუჩების კეთილმოწყობასა და გამწვანებას.

გატარდეს ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად უნდა ჩასწვდნენ ვაჭრობის საკითხებს, მხედველობაში მიიღონ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ცალკეული საქონლის მოთხოვნილების თავისებურებანი, იბრძოლონ გაფლანგვა-დატაცების შემთხვევათა აღმოფხვრისა და მომხმარებელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ცენტრალურმა კომიტეტმა, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მიაღწიონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაძლიერებას, განსაკუთრებით სოფლად. გაძლიერდეს მუშაობა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობისა და კურორტების კეთილმოწყობის დარგში.

ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე იქნას აყვანილი საბჭოთა სკოლის — მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ამ მძლავრი იარაღის—მუშაობა. გაუმჯობესდეს მეცნიერების საფუძვლების სწავლება სკოლაში, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ფიზიკურ-მათემატიკურ დისციპლინათა სწავლება, ჩაინერგოთ მოსწავლეებს ინტერესი საბუნებისმეტყველო და ტექნიკური ცოდნისადმი.

რუსული ენის შესწავლის დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობის გამო XIV ყრილობა ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს მიიღონ საჭირო ზომები საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ფართოდ გაიშალოს სასკოლო მშენებლობა.

პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებული მზრუნველობის საგანი უნდა იყოს მარქსისტულ-ლენინური განათლების მაღალ დონეზე დაყენება უკლებლივ ყველა უმაღლეს სასწავლებელში. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ხელსაწყოების გამოცემას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია თავის მუშაობას უფრო მჭიდროდ უნდა უკავშირებდეს სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის საჭიროებებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა სამეცნიერო კადრებსა და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შორის, აგრეთვე ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შორის, მეტი ყურადღება დაუთმონ მათს პოლიტიკურ აღზრდას და იდეურ წრთობას, ბურჟუაზიული კულტურის წინაშე ქედის მოხრის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლას.

ყრილობა ავალებს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გააძლიეროს მუშაობა ფიზკულტურისა და სპორტის დარგში. პარტიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობის ყოველმხრივ გაშლა ადგილებზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასპორტო ნაგებობათა მშენებლობას ქალაქად და სოფლად. გაუმჯობესდეს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის, განათლების ორგანოებისა და სკოლების, აგრეთვე კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობის, მუშებისა და მოსამსახურეების ფიზიკური აღზრდის დარგში.

პარტიული მუშაობის დარგში

ყრილობა ავალებს საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს აამაღლონ ბოლშევიკური ხელმძღვანელობისა და შინაპარტიული მუშაობის დონე, ფართოდ გაშალონ პარტიის წევრთა და კანდიდატთა პოლიტიკური აღზრდა, გააუმჯობესონ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, აქტიურად ჩააბან კომუნისტები პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში.

ყრილობას პარტიული ორგანიზაციების პირველი რიგის ამოცანად მიაჩნია კომუნისტთა პარტიული განათლებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაძლიერება, პოლიტსკოლების, წრეების, მუდმივმოქმედი სემინარების, ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების მუშაობის ხარისხის სისტემატური გაუმჯობესება და კომუნისტთა დამოუკიდებელი სწავლის საკითხებზე ყურადღების გაძლიერება.

უფრო მეტად ამაღლდეს ლექციური მუშაობის დონე.

რესპუბლიკურმა, საოლქო და რაიონულმა გაზეთებმა უნდა გააძლიერონ პარტიული ცხოვრების საკითხთა გაშუქება, უფრო ხშირად გამოაქვეყნონ პროპაგანდისტული მასალები, აწარმოონ ფართო აგროტექნიკური პროპაგანდა, კერძოდ მოწინავე მიჩურინული მეცნიერების პროპაგანდა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დახმარებით გააუმჯობესონ სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროპაგანდა, გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მოსახლეობაში და აღზარდონ იგი საბჭოთა პატრიოტიზმისა და ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ყრილობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად სახავს პარტიული ორგანოების, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოების, როლის შემდგომ ამაღლებას, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერებას და მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

პარტიულმა კომიტეტებმა გააუმჯობესონ კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან, მოაწყონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების და პირველად პარტიულ ორგანიზაციებამდე მათი დაყვანის სისტემატური შემოწმება.

ყრილობა მოითხოვს საქართველოს პარტიული ორგანიზაციებისაგან ყოველმხრივ გააუმჯობესონ მუშაობა კადრების აღზრდისა და განაწილების დარგში. მტკიცედ იხელმძღვანელონ პოლიტიკური და საქმიანი ნიშნების მიხედვით კადრების შერჩევის სტალინური პრინციპით, სისტემატური მუშაობა აწარმოონ ხელმძღვანელი კადრების პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო ფართოდ გაშალონ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკა და თვითკრიტიკა, აღზარდონ კადრები ბოლშევიკური სიფხიზლის, პრინციპულობისა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის უმკაცრესად დაცვის სულისკვეთებით.

ყრილობას მიაჩნია, რომ ომისშემდგომ პერიოდში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ამოცანები მოითხოვენ პროფკავშირების, როგორც მშრომელთა ყველაზე მასობრივი ორგანიზაციების, მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, და ავალებს პარტიულ კომიტეტებს დახმარება გაუწიონ პროფკავშირებს მასებთან კავშირის განმტკიცების, მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის საქმეში.

გაუმჯობესდეს კომკავშირის მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ხარისხი და გაძლიერდეს ხელმძღვანელი პარტიული კადრების დახმარება კომკავშირული ორგანიზაციებისადმი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კომკავშირის ზრდას ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილის მიღებით და კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების საქმის გაუმჯობესებას.

გაუმჯობესდეს პარტიული და საბჭოთა ორგანოების კავშირი ჯარის ნაწილებთან. დახმარება გაეწიოს მათ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა კულტურული შეფობის ფართოდ განვითარების გზით.

* * *

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას მთელი რიგი წლების მანძილზე უშუალოდ ხელმძღვანელობდა ერთგული სტალინელი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, რომელმაც იგი აღზარდა დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და ყველა მისი მითითების აუცილებლად შესრულების სულისკვეთებით. საქართველოს ბოლშევიკები წარმატებებს აღწევენ იმიტომ, რომ წმიდად იცავენ და განუხრელად განაგრძობენ ამ ტრადიციას.

მთელ თავიანთ მრავალმხრივ სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობაში საქართველოს ბოლშევიკები კვლავაც ერთგული იქნებიან ამ სახელოვანი ტრადიციისა. ისინი კვლავაც ბოლომდე მოახმარენ მთელ თავიანთ ძალებს კომუნიზმის მშენებლობის საქმეს, რომელსაც მეთაურობს კაცობრიობის ნამდვილი ისტორიის შემოქმედი — პარტიის, საბჭოთა ხალხის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადი დიდი სტალინი.

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას — ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბელადს — დიდ სტალინს!

გამოცდილების ტრიბუნა

როგორ მოვიწიეთ ყურძნის უხვი მოსავალი

ახლა, როდესაც შეჯამებულია გასული წლის შედეგები მევენახეობაში, შეიძლება შევჩერდეთ ჩვენი მუშაობის იმ გამოცდილებაზე, რის შედეგადაც 1948 წელს მივიღეთ ყურძნის უხვი მოსავალი.

ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი უძველესია სამტრესტის სისტემაში. დიდი სამამულო ომის წლებში არასაკმაო მოვლისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სუსტად გატარების შედეგად ვენახები ძლიერ დასუსტდა და ნაკლებმოსავლიანი გახდა. ამან გამოიწვია ის, რომ ომისშემდგომ პირველ წელს — 1946 წელს საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიღებული ყურძნის მოსავალი 4 ცენტნერს არ აღემატებოდა. დიდი გარდატეხა არც 1947 წელს მომხდარა. მაშინ საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იყო 8,3 ცენტნერი ყურძენი.

ყურძნის ასეთმა დაბალმა მოსავლიანობამ სერიოზულად ჩააფიქრა მეურნეობის მუშათა და აგროტექნიკურ მუშაკთა მთელი კოლექტივი. საჭირო იყო ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რაც ვაზს მოაღონიერებდა და შექმნიდა პირობებს ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის. გამოცდილ მევენახეებთან და სპეციალისტებთან მოთათბირების შემდეგ დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებანი.

ცნობილია, რომ ვენახის მაღალი მოსავლიანობის ძირითადი პირობებია ნიადაგის ღრმად დამუშავება და მისი სისტემატური გაფხვიერება (კულტივაცია, თოხნა), ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა, მწვანე ოპერაციების თავის დროზე ჩატარება, ბორდოს სითხით წამლობა და გოგირდის შეფრქვევა. ჩვენს მუშაობასაც სწორედ ამ ღონისძიებათა მტკიცე აგროტექნიკურ ვადებში გატარება დავუდეთ საფუძვლად.

1947 წელს ვაზი გავსხლეთ ინდივიდუალური მიდგომით — მოკლედ (2-3-4 კვირტზე), რიგებს შორის ნიადაგი ღრმად მოვხანით. კულტივაცია ჩავატარეთ 4-ჯერ, ვაზის ძირების გამოთოხნა—3-ჯერ, გაფურჩქვნა-ახვევა — 2-ჯერ, ბორდოს სითხით წამლობა — 6-ჯერ, გოგირდის შეფრქვევა — 5-ჯერ. დასუსტებული ვაზის 35 ჰექტარ ფართობზე შევიტანეთ ორგანული სასუქი თვითეულ ჰექტარზე 50 ტონის რაოდენობით. ამ ღონისძიებათა გატარების შედეგად თავიდან იქნა აცილებული ვაზის და ყურძნის დაავადება. მართალია, 1947 წელს ვერ მივიღეთ ყურძნის დიდი მოსავალი, მაგრამ სამაგიეროდ ვაზი გაძლიერდა.

განსაკუთრებული სერიოზულობით მოვკიდეთ ხელი ვენახების დამუშავებას 1947 წლის შემოდგომიდანვე. ზამთარში ჩავატარეთ ვაზის ძირების გამობარვა. 1948 წლის ადრე გაზაფხულზე უზრუნველვყავით რიგთა შორის ღრმა ხვნა. მთელ ფართობზე შევიტანეთ მინერალური სასუქი, ხოლო უფრო დასუსტებული ვაზებით გაშენებული 20 ჰექტარი ფართობი გავაპოხიერეთ მინერალური სასუქით (თვითეულ ჰექტარზე 50 ტონით). დროულად გამოვთოხნეთ ვაზის ძირები, ავაკარით ვენახი, შემოვაცალეთ ზედმეტი კვირტები. გაფურჩქვნა-ახვევა ჩავატარეთ 2-ჯერ, გადახვნა და კულტივაცია—4-ჯერ, თოხნა—3-ჯერ, ბორდოს სითხით წამლობა — 6-ჯერ, გოგირდის შეფრქვევა — 7-ჯერ.

ვენახებში მუშაობის დაწყებისთანავე სერიოზული ყურადღება მივაქციეთ შრომის ორგანიზაციას. ფართოდ დავნერგეთ ბრიგადული და რგოლური სისტემა მუშაობაში. რგოლების შიგნით მევენახეებს მივუჩინეთ ნაკვეთები მოსავლელად. ყოველივე ამან კარგი ნაყოფი გამოიღო. შარშან თუ გეგმით თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ უნდა მიგვეღო 20 ცენტნერი ყურძენი, ფაქტიურად მივიღეთ 35,7 ცენტნერი. სახელმწიფო გეგმით ვენახის მთელ ფართობზე უნდა მოგვეყვანა 2.800 ცენტნერი ყურძენი, ფაქტიურად მივიღეთ 5.495,6 ცენტნერი, ანუ გეგმა შევასრულეთ 196,3 პროცენტით. ეს პირველი შემთხვევაა უკანასკნელი რვა წლის მანძილზე, რომ ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ მოსავლიანობის გეგმა არა თუ შეასრულა, არამედ დიდადაც გადააჭარბა.

საბჭოთა მეურნეობის მთელი 153,57 ჰექტარი ვენახიდან 51,64 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოვიწიეთ 62 ცენტნერი ყურძენი, დანარჩენი ფართობის თვითეულ ჰექტარზე კი — 22,4 ცენტნერი.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მესამე აგროუბანმა, რომელსაც „სანავარდო" ეწოდება (უბნის აგრონომი გიორგი ხოსროშვილი). ამ უბნის 31,6 ჰექტარიდან 22,06 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარ ვენახზე მიღებულია საშუალოდ 89,2 ცენტნერი ყურძენი, ხოლო დანარჩენი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 26,8 ცენტნერი. ამ უბნის ბრიგადირმა კომუნისტმა გიგა ჯიქურაშვილმა მისთვის მიჩენილი 10,05 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიწია 104 ცენტნერი ყურძენი, ხოლო ამავე ბრიგადის პირველმა რგოლმა 5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფა 105 ცენტნერი, მეორე რგოლმა — 103 ცენტნერი ყურძენი.

უხვი მოსავალი მიიღო აგრეთვე პირველმა აგროუბანმა (აგრონომი შოთა ზარდიაშვილი), რომელმაც 64,7 ჰექტარიდან 21,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიწია 61,7 ცენტნერი ყურძენი.

ამ მიღწევებით არ ვკმაყოფილდებით. საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით ვიკისრეთ ყრილობის გახსნის დღისათვის მთლიანად დაგვემთავრებინა ვენახის საზამთრო სამუშაოები. ეს ვალდებულება წარმატებით შევასრულეთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასთან ერთად, დიდი ყურადღება დაუთმო მევენახეობის აღმავლობის საკითხებს. ჩვენი მეურნეობის მუშები, მოსამსახურეები და სპეციალისტები ძალღონის დაუზოგავად იმუშავებენ, რათა ბოლშევიკურად განახორციელონ ყრილობის გადაწყვეტილებანი და მიმდინარე წელს შარშანდელზე გაცილებით მეტი ყურძნის მოსავალი მოიწიონ.

ა. თვალიაშვილი

ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ველების ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის პროპაგანდა

1 თებერვალს აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის თავმჯდომარეობით შედგა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა. მოხსენება მინდორსაცავი ტყის ნარგავების გეგმის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროპაგანდის მსვლელობაზე გააკეთა ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ვ. პ. მოსოლოვმა.

მოსკოვში საზოგადოების ცენტრალურ ლექტორიუმში კითხულობენ საჯარო ლექციების ციკლს თემაზე „ველების ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა და დოკუჩაევ-კოსტიჩევ-ვილიამსის მოძღვრება მიწათმოქმედების აღმავლობის შესახებ". ლექციების წასაკითხავად მოწვეული არიან საბჭოთა მეცნიერების უდიდესი წარმომადგენლები.

სოფლის ლექტორიუმების დასახმარებლად საკავშირო საზოგადოება სატყეო მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ამჟამად იმუშავებს პოპულარული ლექციების ტექსტებს ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის შესახებ. უახლოეს მომავალში ბროშურები დაიბეჭდება და სოფლის ლექტორიუმებს დაეგზავნება.

ამასთან ერთად პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მუშაობა მინდორსაცავი ტყის ნარგავების გეგმის პროპაგანდის დარგში ჯერ სათანადოდ არ არის გაჩაღებული. ზოგიერთი რესპუბლიკური საზოგადოება და განყოფილება არ შესდგომია ამ თემაზე ლექციების კითხვას.

პრეზიდიუმმა საზოგადოების ყველა ფილიალს დაავალა ლექციები მოაწყონ არა მარტო საოლქო და სამხარეო ცენტრებში, არამედ რაიონებსა და კოლმეურნეობებშიც. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ლექციების ხარისხს, მათ პოპულარულ წაკითხვას. ლექტორების დასახმარებლად განზრახულია გამოიცეს სხვადასხვა თვალსაჩინო ხელსაწყო—რუკები, ალბომები, დიაფილმები და სხვ. უკვე დამზადებულია დიაპოზიტივების ორი სერია თემებზე: „როგორ ვაწარმოოთ ტყის დარგვა", „როგორ შევაგროვოთ და შევინახოთ თესლი". (საქდესი).

მტს-ი ამცირებს სარემონტო სამუშაოთა თვითღირებულებას

კურგანი, 28 იანვარი. (საქდესი). შადრინის რაიონში პანკინის მტს-მა ჯერ კიდევ პირველ იანვრამდე—დათქმულ ვადაზე ორი თვით ადრე დაამთავრა ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების რემონტი და 30 ათას მანეთზე მეტი დაზოგა.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში მტს-ის დირექტორმა ამხ. ეფრემოვმა განაცხადა:

მარტო რემონტის ვადის შემცირებაც ეკონომიის სერიოზული წყაროა. გამოცდილებამ ცხადყო, რომ რაც უფრო ჭიანურდება რემონტი, მით უფრო მეტ სახსრებს მოითხოვს იგი, მეტი მასალა იხარჯება და ძვირდება მუშახელის ღირებულება.

ბრიგადულ-კვანძური მეთოდის შემოღებამ შესაძლებელი გახადა სამუშაო დროის მაქსიმალური შემჭიდროება. დიდ სარფას იძლევა აგრეთვე სახაზინო დეტალების მუდმივი გარდამავალი ფონდის არსებობა. ეს ფონდი იქმნება ზამთრისა და ზაფხულის განმავლობაში. რემონტის დაწყების შემდეგ მტს-ს არაფერი აკლია. გაზაფხულამდე დარჩენილ დროში სათადარიგო ნაწილების გარდამავალი ფონდი ხელახლა შეივსება.

ეროვნული

თეატრალური კრიტიკოსების ერთი ანტიპატრიოტული ჯგუფის შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის, ისევე როგორც საბჭოთა ხელოვნების, საბჭოთა თეატრის უდიდესი იდეური, მხატვრული, აღმზრდელობითი ძალა ის არის, რომ ისინი უაღრესად მჭიდროდ, უშუალოდ და მტკიცედ არიან დაკავშირებულნი ცხოვრებასთან. საბჭოთა ლიტერატურა, საბჭოთა დრამატურგია სწორედ იმით არის ძვირფასი და მახლობელი ხალხისათვის, რომ ხალხი მასში პოულობს თავისი საქმეების, გრძნობების, აზრების ასახვას, რომ ლიტერატურა უპასუხებს მის მოთხოვნებს, მასთან ერთად მონაწილეობს სოციალისტურ მშენებლობაში, დაუცხრომელ წინსვლაში კომუნიზმისაკენ. საბჭოთა დრამატურგია მხატვრული სახეებით გვიჩვენებს საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელ ძალას, რამაც ჩვენს ქვეყანაში გმირობა მასობრივი გახადა, ჩვენი რიგითი ადამიანი ბურჟუაზიული სამყაროს ყოველ წარმომადგენელზე ათჯერ მაღლა დააყენა. ხალხის მთელ ისტორიულ შემოქმედებასთან უაღრესად მჭიდრო კავშირშია სოციალისტური რეალიზმის უღრმესი და მაცოცხლებელი წყარო. აქვეა საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი წყაროებიც, ვინაიდან არ შეიძლება ახალ რამეს ქმნიდე საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, თუ სულითა და გულით ერთგული არა ხარ საბჭოთა მიწა-წყლისა, თუ შენი ხალხისადმი — კომუნისტური საზოგადოების შემოქმედისადმი სიყვარულის ცეცხლი არ გიღვივის გულში.

ამას ეუბნება საბჭოთა მწერლებს, საბჭოთა დრამატურგებს ბოლშევიკების პარტია, რომელიც კომუნიზმის მშენებლობას ხელმძღვანელობს. სოციალისტური რეალიზმი ისევე განუყრელია ხალხის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი ცოცხალ, მხურვალე სიყვარულით აღსავსე ინტერესთან, ღრმა და კეთილშობილურ პატრიოტულ გრძნობასთან, როგორც ბურჟუაზიული ურა-კოსმოპოლიტიზმი დაკავშირებულია გულგრილ დამოკიდებულებასთან ხალხისადმი, მისი შემოქმედებისადმი, გულგრილ, უშინაარსო, ცივ ესთეტობასა და ფორმალიზმთან.

ამას გვასწავლის რუსული მოწინავე ლიტერატურის მთელი ისტორიაც. ბელინსკის მგზნებარე ბრძოლა რეალიზმისათვის მთლიანად გამსჭვალული იყო მაღალი პატრიოტული გრძნობით, ვინაიდან ხელოვნების სიმართლეს, რასაც იგი მოითხოვდა მწერლებისაგან, დრამატურგებისაგან, მსახიობებისაგან, ფესვი ჰქონდა გადგმული თავისი ხალხისადმი მხურვალე სიყვარულში, სამშობლოსადმი სიყვარულში, რომელიც ბადებდა ბრძოლას ტირანებისაგან მისი განთავისუფლებისათვის. ბელინსკი სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ესთეტობას, „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“, ხელოვნების თამაშს, იმიტომ რომ ყოველგვარი ესთეტობა იყო არა მარტო ყალბი, არამედ ანტიხალხურიც, რეაქციული თავისი არსით, ანტიპატრიოტული, ანტიეროვნული.

ბელინსკის ანდერძმა, რასაც მხარი დაუჭირეს და განავითარეს ჩერნიშევსკიმ და დობროლიუბოვმა, მთელი რუსული მოწინავე ლიტერატურა განვლო და შექმნა მისი უაღრესად კეთილშობილური ტრადიციები. რუსული კრიტიკის ამ კორიფეებმა, დიდმა განმანათლებლებმა, თვით თავიანთი სახით გვიჩვენეს, თუ როგორი უნდა იყოს რეალისტური ლიტერატურისა და რეალისტური თეატრის კრიტიკოსი. ამჟამადაც არ შეიძლება აუღელვებლად გადაიკითხო ბელინსკის სტატიები თეატრის შესახებ. სცენაზე შექმნილი მხატვრული სახეებით იგი ხედავდა უძლიერეს საშუალებას თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების განსახორციელებლად. ბელინსკის მხურვალედ უყვარდა თავისი ხალხი, იცნობდა მას და მოითხოვდა, რომ რუსი ხალხი თეატრშიც ისეთი ყოფილიყო, როგორიც იგი ისტორიამ შექმნა.

დრო იცვალა მას შემდეგ, როცა ბელინსკი თეატრის შესახებ წერდა. საბჭოთა ხალხმა მოიშორა საზოგადოებრივი რეაქციის მატარებელნი, სავსებით მოუღო ბოლო ექსპლოატატორ-პარაზიტთა კლასს, საუცხოოდ გაიფურჩქნა ხალხის შემოქმედება ცხოვრების ყველა დარგში... სოციალისტური მშენებლობა, შთაგონებული პატრიოტული აღფრთოვანება დიდი სამამულო ომის დროს, შემოქმედებითი შრომის გრანდიოზული საყოველთაო-სახალხო გმირობა ომის შემდეგ, ახალ თვისებათა განვითარება საბჭოთა ადამიანის ხასიათში, ახლის განუწყვეტელი ძიება წარმოებასა და მეცნიერებაში — რაოდენ კეთილშობილური მასალაა ყოველივე ეს ხელოვნებისათვის, ლიტერატურისა და პოეზიისათვის! და საბჭოთა ხალხის საუკეთესო მწერლები, იმავე შემოქმედებითი ენთუზიაზმით გამსჭვალულნი, როგორითაც მთელი ხალხი ცხოვრობს, ცდილობენ თავიანთი წვლილიც შეიტანონ საერთო საქმეში, ვინაიდან ახსოვთ, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევს ჩვენი პარტია ყოველგვარ პატიოსან იდეოლოგიურ მუშაობას ხალხის სასარგებლოდ, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდა იგი მწერლის შრომას, როცა მწერლებს „ადამიანის სულის ინჟინრები“ უწოდა.

პარტიას არაერთგზის აღუნიშნავს, თუ რა სავალალო და დამღუპველ შედეგებამდე მიჰყავს მწერალი საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლისაგან მოწყვეტას და როგორ ანაყოფიერებენ და ასულდგმულებენ მწერლის შემოქმედებას საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი იდეები. თავაშვებული კოსმოპოლიტიზმი არა მარტო ანტიხალხურია, არამედ უნაყოფოცაა. იგი მავნეა, როგორც ის პარაზიტები მცენარეულ სამყაროში, რომლებიც ღრღნიან სასარგებლო მცენარეების ყლორტებს. იგი ჩვენდამი მტრულ ბურჟუაზიულ რეაქციულ გავლენათა გამტარებელია.

პარტიამ თავის დადგენილებებში იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის შესახებ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბჭოთა კრიტიკას. კრიტიკოსი არის იმ ახალი, მნიშვნელოვანი, დადებითი მოვლენის პირველი პროპაგანდისტი, რაც ლიტერატურასა და ხელოვნებაში იქმნება. განსაკუთრებით დიდია თეატრალური კრიტიკოსის როლი. მან ფართოდ, პრესის საშუალებით, უნდა გაავრცელოს მხატვრული სცენიური სახეების მოქმედება. ნამდვილი საბჭოთა კრიტიკოსი, რომელსაც უყვარს თავისი საქმე, რომელიც სოციალისტური ხელოვნების ერთგულია, არ შეიძლება არ იყოს მხურვალე პატრიოტი, არ შეიძლება არ ამაყობდეს, როცა სცენაზე ჩნდება ახალი ნაწარმოები, — თუნდაც ჯერ კიდევ არასაკმაოდ სრულყოფილი, მაგრამ რომელმაც გაბედულად წამოაყენა ახალი იდეა, შექმნა საბჭოთა ადამიანის ახალი სახე. თეატრალური კრიტიკოსი თეატრის პირველი თანაშემწეა მხატვრული სახეებით იმის საუკეთესოდ, ყველაზე მართლად და ყველაზე ნიჭიერად განხორციელების ძიებაში, რითაც ჩვენი ქვეყანა ცხოვრობს.

სამწუხაროდ, კრიტიკა, და განსაკუთრებით თეატრალური კრიტიკა ყველაზე ჩამორჩენილი უბანია ჩვენს ლიტერატურაში. უფრო მეტიც. სწორედ თეატრალურ კრიტიკაში უკანასკნელ დრომდე დარჩა ბუდეები ბურჟუაზიული ესთეტობისა, რომელიც ფარავს ანტიპატრიოტულ, კოსმოპოლიტურ, დამპალ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელოვნებისადმი.

* * *

თეატრალურ კრიტიკაში ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული ესთეტობის ნაბოლარათა ანტიპატრიოტული ჯგუფი, რომელიც შეიპარა ჩვენს პრესაში და ყველაზე მოურიდებლად მოქმედებს ჟურნალ „ტეატრის“ და გაზეთ „სოვეტსკოე ისკუსტვოს“ ფურცლებზე. ამ კრიტიკოსებმა დაკარგეს თავიანთი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე; ისინი არიან საბჭოთა ადამიანისათვის მეტად საზიზღარი, მისთვის მტრული უგვარტომო კოსმოპოლიტიზმის მატარებელნი; ისინი ხელს უშლიან საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას, აფერხებენ მის წინსვლას. მათთვის უცხოა ეროვნული საბჭოთა სიამაყის გრძნობა.

ამგვარი კრიტიკოსები ცდილობენ სახელი გაუტეხონ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მოწინავე მოვლენებს, გააფთრებით ესხმიან თავს სწორედ პატრიოტულ, პოლიტიკურად მიზანსწრაფულ ნაწარმოებთ თითქოს მხატვრული არასრულყოფილობის საბაბით. სასარგებლოა გავიხსენოთ, რომ იდეოლოგიური მოწინააღმდეგის სწორედ ასეთ იერიშებს განიცდიდა თავის დროზე დიდი მწერლის მაქსიმ გორკის შემოქმედება, ისეთი ძვირფასი ნაწარმოები, როგორიცაა კ. ტრენევის „ლიუბოვ იაროვაია“ და სხვები.

უდიდესი იდეურ-მხატვრული მნიშვნელობა აქვს მუშა რევოლუციონერის ნილის სახეს მ. გორკის პიესაში „მდაბიონი“. ხოლო კრიტიკოსი ი. იუზოვსკი, პიესის იეზუიტურ შექებასთან ერთად, ცდილობდა მკითხველისათვის შთაეგონებინა, თითქოს ნილი „არასრულყოფილი ფიგურაა გორკის ნაწარმოებში“, თითქოს ავტორი გამოდის „აქ როგორც პუბლიცისტი და მუდამ როდი ზრუნავს იმისათვის, თუ ამ შემთხვევაში რამდენად სამართლიანია პუბლიცისტიკის ჩარევა პიესის მხატვრულ ქარგაში“.

„მხატვრული ქარგა“, სიუჟეტის ლოგიკა, რასაც თითქოს არღვევს ნილის საქციელი გორკის შესანიშნავ ნაწარმოებში, — აი ბურჟუაზიული ესთეტის ნიღაბი, რომლითაც იგი ფარავს თავის ანტირევოლუციურ, ანტიპატრიოტულ არსს და ცდილობს დაამციროს ერთერთი პირველი მუშა რევოლუციონერ-ბოლშევიკის მამაცური, კეთილშობილური სახე, რომელიც დიდმა პროლეტარულმა მწერალმა ა. მ. გორკიმ დაგვიხატა.

იგივე ი. იუზოვსკი უხალისოდ გამოსცრის პატრონკაცურ წამახალისებელ სიტყვებს, ხოლო ამავე დროს „სიუჟეტის“ კრიტიკის ხაზით დამცინავი ჩხირკედელაობით წერს ა. სუროვის პიესაზე „სტალინგრადიდან შორს“, ბ. ჩირსკოვის პიესაზე „გამარჯვებულნი“, რომელსაც სტალინური პრემია მიენიჭა, ზოიას როლზე პიესაში „ზღაპარი სიმართლეზე“, როლზე, რომლის შესრულებისთვისაც მსახიობ ნ. როდიონოვას სტალინური პრემია მიენიჭა. კრიტიკოსი ი. იუზოვსკი იმაზე უკეთესს ვერაფერს პოულობს, რომ ილაყბოს ამ როლზე და წეროს „თეთრ სამსხვერპლო გვირგვინზე“. „ეს სამსხვერპლო ლირიკა, — წერს კრიტიკოსი,—ძალიან შორსაა რომანტიზმისაგან, რასაც ჩვენ ვეძებთ“.

დაცინვით აღსავსეა მისი სტატია, სადაც იგი გესლიანად მსჯელობს საბჭოთა პიესებში გმირთა „ბედნიერი, მხნე“ შესახედაობის გამო, იმის გამო, რომ დრამატურგები ხშირად თითქოს ემყარებიან „თეზისს“ გმირის „თვითკმაყოფილებაზე“, ტენდენციებზე, რომლებიც თითქოს „ღრღნიან ჩვენს ხელოვნებას“, იმაზე, რომ პიესების ავტორებს ხშირად არა სურთ „დაფიქრება“ და ამით თითქოს საშუალებას არ აძლევენ „თავის გმირს იფიქროს“. ხოლო რად ღირს ასეთი მსჯელობა: „რაკი გმირი საბჭოთა გმირია, მან აუცილებლად... უნდა მოიპოვოს გამარჯვება — ამგვარ ფილოსოფიას საერთო არა აქვს რა ცხოვრების დიალექტიკასთან“. კრიტიკოსი უბადრუკად ჯღაბნის, ცდილობს მეცნიერების იერი მისცეს ამ ნაჯღაბნს და საზიზღრად ხითხითებს „აუცილებელი წარმატების მისტიკურ პრეზუმპციაზე, რაკი მისთვის საბჭოთა გმირი იბრძვის“. სიტყვა პრეზუმპცია, როგორც ცნობილია, ნიშნავს „ვარაუდს, რომელიც ჭეშმარიტებად ითვლება, სანამ მისი სისწორე არ გაბათილებულა“. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი აზრი ეძლევა კრიტიკოსის განზრახ ბუნდოვან ფრაზას, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი დაწერილია 1943 წელს, სტალინგრადთან საბჭოთა არმიის დიადი გამარჯვების შემდეგ. და ეს მავნე, გაუგებარი ფორმით გამოხატული ბოდვა სურს გაასაღოს მხატვრულ ნაკლოვანებათა კრიტიკად, „მხატვრული დემობილიზებულობის“ წინააღმდეგ ბრძოლად. არა, აქ არა მარტო ფარული, არამედ აშკარა ბრძოლაცაა იმ მისწრაფების წინააღმდეგ, რომ დაიხატოს საბჭოთა ადამიანის მთლიანი, ყოვლისმძლე ხასიათი.

ა. გურვიჩის სტატიებში შენიღბვის სხვა ფორმაა, ვიდრე ი. იუზოვსკის სტატიებში. ა. გურვიჩი ბოროტგანზრახულად ცდილობს საბჭოთა დრამატურგიას **დაუპირისპიროს** კლასიკა, სახელი გაუტეხოს საბჭოთა დრამატურგიას, რისთვისაც იყენებს... ტურგენევის ავტორიტეტს. საბჭოთა სპექტაკლებზე ლაპარაკის დროს იგი ბრძანებს: „მხოლოდ ერთმა სახემ შეგვაყვარა, გვაგრძნობინა რაღაც მნიშვნელოვანი და მახლობელი... ეს იყო ვეროჩკა ტურგენევის ნაწარმოებიდან „ერთი თვე სოფლად“... ჩვენ... გულის სიღრმეში ვიგრძენით, რომ მარტო ეს მოკრძალებული, მგზნებარე ქალიშვილი საუკუნის მანძილზე და **ჩვენი პიესების ბევრი გმირი ქალისათვის** გვერდის ახვევით ხელს უწვდის ზოია კოსმოდემიანსკაიას და მაგრად ართმევს ხელს“.

გავხსნათ ყველა ქარაგმა. „ჩვენ“ — ესინი არიან ისინი, ვინც მოკლებულია საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობას, ვისთვისაც ჭეშმარიტად ძვირფასი არ არის არც ზოია კოსმოდემიანსკაიას სახე, არც ჩვენი ლიტერატურის ნაწარმოებნი, რომელთაც საბჭოთა ხალხი აფასებს ჩვენი ცხოვრების გმირული სილამაზის, საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს სილამაზის მართალი ასახვისათვის.

ხოლო რა წარმოდგენა შეიძლება ექნეს ა. გურვიჩს რუსი საბჭოთა ადამიანის ეროვნულ ხასიათზე, თუ კი იგი წერს, რომ პოგოდინის პიესების „გულმოწყალე ჰუმორსა და მიამიტურად მიმნდობელ ოპტიმიზმში“, რომლებითაც თითქოს გამოიხატა „დრამატურგის მსოფლშეგრძნების ეროვნული ხასიათი“, მაყურებელი ხედავდა თავის ასახვას და „განიცდიდა შეცნობის სიხარულს“, ვინაიდან „რუსი ადამიანებისათვის გულმოწყალებაც უცხო როდიაო“.

ეს ცილისწამებაა რუსი საბჭოთა ადამიანისადმი. საზიზღარი ცილისწამება. და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენთვის მეტად უცხოა გულმოწყალება, ჩვენ არ შეგვიძლია არ დავგმოთ ეს ცდა — ცილი დასწამონ ეროვნულ საბჭოთა ხასიათს.

ა. გურვიჩი ივანე შადრინის სახით პიესიდან „თოფიანი კაცი“ ხედავს გაორებულ კაცს, რომელიც რევოლუციის ტალღებს წარუტაცნია და „უმწეო წინააღმდეგობაში ფართხალობს“, სანამ მის მძლავრ დინებას დანებდებოდეს. ეს ნათქვამია გლეხ ჯარისკაცზე, რომელიც ლენინს შეხვდა, ადამიანზე, რომლის შეგნებამ გაიღვიძა მუშა ბოლშევიკის ზეგავლენით.

პარტია მხარს უჭერდა და უჭერს ყოველივე ახალს, მოწინავეს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, გადამჭრელ წინააღმდეგობას უწევს ცდებს — შებღალონ საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებნი, პარტია ულმობლად ამხილებდა და ამხილებს ანტიპატრიოტულ გამოხდომებს.

მაგრამ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთებით დაავადებული ადამიანები აქა-იქ ჯერ კიდევ ცდილობენ თავისი გამხრწნელი სულისკვეთებით მოშხამონ საბჭოთა ხელოვნების ჯანსაღი, შემოქმედებითი ატმოსფერო. ხან უფრო აშკარად, ხან უფრო შენიღბული ფორმით ისინი ცდილობენ აწარმოონ უნაყოფო, სასტიკი დამარცხებისათვის განწირული ბრძოლა.

ესთეტურ-ფორმალისტური კრიტიკის ნესტარი მიმართულია არა ნამდვილად მავნე და არასრულფასოვან ნაწარმოებთა წინააღმდეგ, არამედ მოწინავე და საუკეთესო ნაწარმოებთა წინააღმდეგ, რომლებიც გვიხატავენ საბჭოთა პატრიოტების სახეებს. სწორედ ეს მოწმობს იმას, რომ მოესთეტე ფორმალიზმი მხოლოდ ანტიპატრიოტული არსის საფარველია.

ასეთი კრიტიკოსები განსაკუთრებით კარგად გრძნობდნენ თავს სრულიად რუსეთის თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული თეატრალურ კრიტიკოსთა გაერთიანების (გაერთიანების ბიუროს თავმჯდომარე იყო გ. ბოიაჯიევი), მწერალთა კავშირის დრამატურგიის კომისიის (სადაც თავმჯდომარეობდა ა. კრონი) აშმორებულ ატმოსფეროში. იქ მთელი სიგონჯით მჟღავნდება იმათი ნამდვილი სახე, ვინც ზოგ ადგილას შენიღბული გამოდის, თავისი აზრების მანკიერ შინაარსს ხშირად ფარავს ვითომდა მეცნიერული ღვლარჭნილი ფრაზებით, გაუგებარი ენით, განზრახ მიკიბულ-მოკიბული სიტყვებით, რაც მხოლოდ იმისთვის არის საჭირო, რომ საქმის არსი დაბნელოს

სწორედ იქ თეატრალური კრიტიკოსი ა. ბორშჩაგოვსკი დუმილით უვლიდა გვერდს იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ამახინჯებენ საბჭოთა სინამდვილეს და საბჭოთა ადამიანების სახეებს, და თავისი ანტიპატრიოტული კრიტიკის მთელ მგზნებარებას მიმართავდა ა. სოფრონოვის პიესის „მოსკოვური ხასიათის“ და ამ პიესის დამდგმელი მცირე თეატრის წინააღმდეგ. იმავე ა. ბორშჩაგოვსკიმ, რომელიც თავის დროზე შეეცადა სახელი გაეტეხა ა. კორნეიჩუკის პიესისათვის „უკრაინის ველებში“, ახლა განიზრახა სახელი გაუტეხოს ისეთ ნაწარმოებებს, როგორიც არის ნ. ვირტას „პური ჩვენი არსობისა“, ა. სუროვის „დიდი ბედი“ და სხვ.

სწორედ იქ კრიტიკოსი ლ. მალიუგინი ამხედრდა ხალხის მიერ კარგად მიღებული ისეთი ღრმა პატრიოტული ნაწარმოებების წინააღმდეგ, როგორიცაა ბ. რომაშოვის „დიადი ძალა“, ნ. ვირტას „პური ჩვენი არსობისა“, ა. სოფრონოვის „ერთ ქალაქში“.

სრულიად რუსეთის თეატრალურ საზოგადოებაში შემდგარ თათბირზე კრიტიკოსი ე. ხოლოდოვი ილაშქრებდა პიესების — „ერთ ქალაქში“ და „პური ჩვენი არსობისა“ წინააღმდეგ.

მაშინ როდესაც ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავით დგას უგვარტომო კოსმოპოლიტიზმის, ხალხისათვის უცხო ბურჟუაზიულ გავლენათა გამოხატულების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები, ამ კრიტიკოსებს იმაზე უკეთესი ვერაფერი უპოვნიათ რა, რომ სახელი გაუტეხონ ჩვენი ლიტერატურის ყველაზე მოწინავე მოვლენებს. ეს პირდაპირ ზიანს აყენებს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას, აფერხებს მათს წინსვლას.

ამავე, უკაცრავად პასუხია, „მუშაობას“ ეწევიან, როგორც ვნახეთ, ა. გურვიჩი, ი. იუზოვსკი და სხვები. მათი უსაფუძვლო, გაბერილი „ავტორიტეტი“ დღემდე კიდევ არ არის ჯეროვნად მხილებული. ანტიპატრიოტულ პოზიციებზე მდგომი კრიტიკოსების ბორშჩაგოვსკის, გურვიჩის, იუზოვსკის, ვარშავსკის, ბოიაჯიევის მანკიერი შეხედულებანი ასაზრდოებენ ხალხისათვის უცხო ყოველგვარ დამახინჯებებს მთელი რიგი კრიტიკოსების მუშაობაში.

რად ღირს ა. ბორშჩაგოვსკის მიერ მცირე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის კ. ზუბოვის ასეთი გესლიანი დაცინვა ეგრეთ წოდებულ „შემოქმედებითს კონფერენციაზე“ სპექტაკლ „მოსკოვური ხასიათის“ განხილვის დროს:

„როცა ზუბოვი პათეტიკურად იწყებს ლაპარაკს, სოფრონოვი ჩვენი დროის იდეებით არის გამსჭვალული, რეჟისორ-მხატვრის მთელ არსებაში ამ წუთს რაღაც ალტკინება, რაღაც მღვდელმოქმედება ხდება. ამ ცრუკლასიკურ ტემპერამენტს მე ვადარებ მცირე თეატრში საბჭოთა თემაზე დადგმულ სპექტაკლს“.

რა არის ეს, თუ არა იმის ცდა, რომ გალანძღოს, სახელი გაუტეხოს პარტიულ თემაზე დაწერილი პიესის ავტორსაც და ჩვენი ქვეყნის უძველეს თეატრსაც, რომელიც აქტიურად მუშაობს თანამედროვე საბჭოთა თემაზე?

მოვიყვანთ მგზნებარე, გულწრფელ სიტყვებს კ. ა. ზუბოვის გამოსვლიდან, რომელმაც კრიტიკოსის გესლიანი დაცინვა გამოიწვია:

„მე მინდა, უწინარეს ყოვლისა, რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმის შესახებ, თუ რატომ მოკიდა ხელი მცირე თეატრმა პიესას „მოსკოვური ხასიათი“... ის, რაც სოფრონოვის პიესაშია მოცემული, იმდენად დიადია, იმდენად სასიხარულოა, იმდენად გამსჭვალულია ჩვენი ცხოვრებისადმი რწმენით, იმდენად ოპტიმისტურია, რომ ამას დუმილით გვერდს ვერ ავუვლით. ამას უნდა დავეხმაროთ... მე ვფიქრობ, რომ პოეტური კომედია, წმინდა კომედია, ოპტიმისტური კომედია, რომელიც გვინერგავს ჩვენი ცხოვრებისადმი, ჩვენი სინამდვილისადმი, ჩვენი მომავლისადმი, იმ იდეებისადმი რწმენას, რომლებითაც ვცოცხლობთ, რომლებითაც ვსულდგმულობთ,—ეს უკვე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შეუძლებელია წაართვა თავს ამ პიესაზე მუშაობის სიამოვნება. აი რამ გაიტაცა თეატრი... მასთან (დრამატურგთან. — **რედ.**) ერთად თქვენ იმსჭვალებით ჩვენი მშვენიერი სინამდვილისადმი რწმენით... ჩვენ მოვალე ვართ უპირველეს ყოვლისა ეს შევნიშნოთ, შემდეგ კი ვილაპარაკოთ იმაზე, სწორია თუ არა სიუჟეტი... თეატრი... მხურვალედ იცავს ავტორს ამ აზრით და უფლება აქვს მოითხოვოს დახმარება და არა „კრიტიკა“, რომელიც ფრთებს შეაკვეცდა იმედებს, რომელიც საკუთარი ძალის რწმენას დააკარგვინებდა“.

ეს სიტყვები შეიძლება შევუფარდოთ ყველა საუკეთესო პიესას, რომლებიც გამსჭვალული არიან ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოსათვის სიამაყის, მისდამი დედაშვილური სიყვარულის გრძნობით.

და ისინი კარგად ამხილებენ კრიტიკოსთა იმ ჯგუფის მავნე როლს, რომელიც ცდილობს დრამატურგია და თეატრი ჩამოაშოროს საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით შთაგონებულ თემებს.

თანამედროვე რეპერტუარის და, კერძოდ, სპექტაკლ „მოსკოვური ხასიათის“ მიმართ დამოკიდებულების საკითხში მეტად ულამაზო პოზიცია დაიკავა „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქციამ. „ლიტერატურნაია გაზეტამ“ სარედაქციო ანგარიშში, რომელსაც ჰქონდა პრეტენციოზული სათაური „საუბარი რეპერტუარის ბედის შესახებ“ (1948 წლის 4 დეკემბრის ნომერი), შეაქო ახალი პიესების შესახებ შემდგარ თათბირზე ა. ბორშჩაგოვსკის მიერ გაკეთებული მანკიერი მოხსენება და შეუერთდა მის გესლიან გამოხდომებს თანამედროვე პატრიოტული პიესების დადგმაში მცირე თეატრის ხაზის წინააღმდეგ.

* * *

როგორ მიიღო ზოგიერთმა კრიტიკოსმა დრამატული თეატრების რეპერტუარის და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ პარტიის მიერ მოცემული მითითებანი? მკაცრმა, სამართლიანმა პარტიულმა კრიტიკამ აიძულა თუ არა ისინი გადაესინჯათ თავიანთი პოზიციები? შეუდგნენ თუ არა ეს კრიტიკოსები თვითკრიტიკას?

არა. სწორედ კრიტიკისათვის არ ეყოთ გამბედაობა ამ ვაი-კრიტიკოსებს. მათ არ სურდათ კრიტიკულად მოპყრობოდნენ თავიანთ თავს, ვინაიდან ეშინოდათ, რომ თავიანთ სრულ იდეურ გაკოტრებას გამოამჟღავნებდნენ. მაგრამ მათ ამასთანავე არ შეუწყვეტიათ თავიანთი საქმიანობა, რომელიც ახლა პირდაპირ პარტიის მითითებათა წინააღმდეგ არის მიმართული, არ შეუწყვეტიათ ჯგუფური და ანტიპატრიოტული საქმიანობა. როლები გაიყო. ამ დაჯგუფების ზოგიერთმა ლიდერმა თავი შეაფარა სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების დახავსებულ კომისიებს. მათ აქ შემოიკრიბეს თავიანთი მეგობრები და იწყეს გაყალბებული „საზოგადოებრივი აზრის“ შექმნა ახალი საბჭოთა პიესების წინააღმდეგ, ფაქტიურად — საერთოდ საბჭოთა რეპერტუარის წინააღმდეგ.

ზოგიერთს თავი მოჰქონდა უცნაურ „მდუმარე ადამიანად“. მაგრამ ნამდვილად ისინი როდი დუმდნენ. საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმზე გამოქვეყნდა ამ „მდუმარეთა“ სიტყვების სტენოგრამის ამონაწერები, — სამარცხვინო და უვიცობის დამადასტურებელი მსჯელობა, რაც გაძღენთილია სიძულვილით თანამედროვე საბჭოთა რეპერტუარისადმი, ჩვენი დრამატურგების პატრიოტული ნაწარმოებებისადმი.

ისინი ღვარძლიანად სისინებდნენ, ცდილობდნენ შექმნათ რაღაც ლიტერატურული არალეგალურობა და აბიაბრუებდნენ ყოველივე საუკეთესოს, რაც კი საბჭოთა დრამატურგიაში გამოჩნდებოდა. მათ კეთილი სიტყვა ვერ იპოვეს ისეთი სპექტაკლებისათვის, როგორიცაა „დიადი ძალა“, „მოსკოვური ხასიათი“, „პური ჩვენი არსობისა“, „დიდი ბედი“. მათი ცილისწამებლური და ღვარძლიანი თავდასხმების საგანი იყო განსაკუთრებით ის პიესები, რომლებსაც სტალინური პრემია მიენიჭათ.

რა თქმა უნდა თანამედროვე საბჭოთა რეპერტუარის ბევრ პიესაში ჯერ კიდევ ცოტა როდია ნაკლი. ცხადია, საჭიროა ყველა მათი შემოქმედებითი, ამხანაგური კრიტიკა, იდეური და მხატვრული. მაგრამ მოესთეტე ჭორიკანები ასეთი კრიტიკისათვის როდი ზრუნავდნენ. ისინი აბიაბრუებდნენ ამ პიესებს მთლიანად, და სწორედ იმისათვის, რომ ეს პიესები, ყველა ნაკლთან ერთად, გამსჭვალული არიან საბჭოთა იდეურობითა და პრინციპულობით, აყენებენ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხებს, ეხმარებიან პარტიასა და საბჭოთა ხალხს ბურჟუაზიული უცხოურობის წინაშე ქედის მოხრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბიუროკრატიზმის, მტაცებლობისა და საზოგადოებრივ მოტივებთან შედარებით პირადი მოტივების უპირატესობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველა ეს პიესა ნერგავს საბჭოთა პატრიოტიზმს და ცდილობს მხატვრულ სახეთა ძალით სცენიდან გვაჩვენოს ყოველივე ახალი, პროგრესული, რაც ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში იქმნება.

დიდი ხანია გაკოტრებული იუზოვსკები და გურვიჩები „დუმდნენ“, მათ მაგივრად გამოდიოდნენ ბორშჩაგოვსკები და სხვები, რომლებიც სპეციალური ხელოვნებათმცოდნეობის პრესიდან შეიპარნენ საერთო პრესაში და მჟღერალა ფრაზებით ნიღბავდნენ იმავე სიძულვილს საბჭოთა პატრიოტიზმის იდეების მხატვრული წარმოსახვისადმი.

ჩვენ გვახსოვს ამხანაგ სტალინის სიტყვები: „შეუძლიათ თქვან, რომ მიჩქმალვა კრიტიკა არ არის. მაგრამ ეს სწორი როდია. მიჩქმალვის მეთოდი, როგორც უგულებელყოფის განსაკუთრებული ხერხი, წარმოადგენს აგრეთვე კრიტიკის ფორმას, მართალია, სულელურსა და სასაცილოს, მაგრამ მაინც კრიტიკის ფორმას“.

კრიტიკაში დუმილით ფონს გასვლის ცდა, ყალთაბანდობის ცდა ნაცვლად საკითხის პირდაპირი პრინციპული დაყენებისა, ვერ უშველის კრიტიკოსთა ამ ანტიპატრიოტულ ჯგუფს.

ჩვენ ვხედავთ არა შემთხვევით ცალკეულ შეცდომებს, არამედ ანტიპატრიოტულ შეხედულებათა სისტემას, რომლებიც ზიანს აყენებენ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას, სისტემას, რომელიც უნდა განადგურებულ იქნას.

შემთხვევითი როდია, რომ უგვარტომო კოსმოპოლიტებს იერიში მიაქვთ ჩვენი ნაციონალური სიამაყის — სამხატვრო თეატრისა და მცირე თეატრის ხელოვნებაზე. ისინი ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ნდობას მათი მუშაობისადმი, როცა მსოფლიოში ეს საუკეთესო თეატრები დგამენ პიესებს საბჭოთა თემებზე, განასახიერებენ საბჭოთა ადამიანებს.

პარტიული კრიტიკის უპირველესი ამოცანაა იდეურად გაანადგუროს თეატრალურ კრიტიკოსთა ეს ანტიპატრიოტული ჯგუფი.

საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ამასწინანდელ პლენუმზე დაიწყო კრიტიკოსთა ამ ანტიპატრიოტული ჯგუფის მხილება და განადგურება.

ჩვენს კრიტიკას უნდა ახსოვდეს, რომ იგი მოწოდებულია მხარი დაუჭიროს მოწინავე, პატრიოტულ ტენდენციებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, დაუღალავად გაუწიოს პროპაგანდა ყოველივე საუკეთესოს, რაც მათ შექმნეს, გაბედულად, პრინციპულად ამხილოს არსებული ნაკლოვანებანი, აღზარდოს მწერლები და მხატვრები საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

* * *

საბჭოთა დრამატურგია და საბჭოთა თეატრი სწორ გზაზე დგანან. საბჭოთა ხელოვნება საზრდოობს უმდიდრესი, კულტურის ისტორიაში უმაგალითო სოციალისტური მშენებლობის წყაროებით. მაგრამ მხოლოდ მისთვის არის მისაწვდომი ეს წყაროები, ვინც თვითონ მონაწილეობს ახალი ცხოვრების შემოქმედებაში, კომუნიზმისათვის ბრძოლაში. ვინც ამ ცხოვრებას გვერდიდან უყურებს გულგრილი მეთვალყურის უგრძნობელი თვალით, ის გარდუვალად უკან რჩება.

საჭიროა მტკიცედ და ერთხელ და სამუდამოდ უკუვაგდოთ ლიბერალური დამოკიდებულება ყველა ამ მოესთეტე არარა ადამიანისადმი, რომლებსაც სამშობლოსა და ხალხისადმი სიყვარულის ჯანსაღი გრძნობა არ გააჩნიათ, რომლებსაც არაფერი აბადიათ, გარდა იმისა, რომ ღვარძლიანად ეწევიან ლანძღვა-გინებას და გაზვიადებული წარმოდგენა აქვთ თავიანთ თავზე. უნდა გაიწმინდოს ხელოვნების ატმოსფერო ამ ანტიპატრიოტული ობივატელებისაგან.

ჩვენი დრამატურგი მწერლები უფრო უნდა დაუახლოვდნენ ხალხის ცხოვრებას, მის შრომას, მის მოწინავე ადამიანებს, განსაცვიფრებელ ახალ მოვლენებს ქალაქსა და კოლმეურნეობებში, უფრო დაუახლოვდნენ კომუნისტურ ყოფაცხოვრებას და კომუნისტურ მორალს, რაც წარმატებით მკვიდრდება. საკმარისია ცხოვრებას დაუახლოვდე, ჩაება მის ფერხულში, — და სამშობლოს, ხალხის სიყვარული მოგცემს მხატვრულ სახეთა დაუშრეტელ წყაროს. ამას ჩვენ ვხედავთ იმ ნაწარმოებთა მიხედვით, რომლებსაც ესოდენ გულმხურვალედ შეხვდა საბჭოთა მკითხველი და მაყურებელი. ეს მკითხველი და მაყურებელი მომთხოვნელია, ყველაზე უმწიკვლო, იდეური და კეთილშობილურია მსოფლიოში. იგი მკაცრად აკრიტიკებს შეცდომებსა და დაუდევრობას. მაგრამ იგი სიყვარულით უჭერს მხარს მწერალს, დრამატურგს, როცა მასში ხედავს მგზნებარე, ნამდვილ პატრიოტულ ინტერესს ხალხის დიადი საქმეებისადმი.

პარტიული საბჭოთა კრიტიკა გაანადგურებს ხალხისათვის უცხო შეხედულებათა მატარებლებს, იგი ასპარეზს გაუკაფავს საბჭოთა თეატრის ნაყოფიერ მოღვაწეობას და შეასრულებს პარტიისა და ხალხის მიერ მის წინაშე დასახულ ამოცანებს.

„პრავდა“, 28/I 1949 წ.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲙᲘᲜᲒᲡᲑᲔᲠᲘ ᲡᲛᲘᲢᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. (საკდესი). ნიუ-იორკის დილის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას და დიდი სათაურებით დაბეჭდეს ი. ბ. სტალინის განცხადება.

გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობა დაბეჭდა 1.000-ზე მეტი სიტყვის რაოდენობით და შემდეგი სათაურით: „სტალინი აცხადებს, რომ ტრუმენთან შეხვედრის საწინააღმდეგო არა აქვს რა; პრეზიდენტს კომენტარი არ გაუკეთებია".

გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა" 1.000 სიტყვის რაოდენობით გამოაქვეყნა თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ცნობა, რომელიც შეიცავს ი. ბ. სტალინის პასუხს. ცნობის სათაურია: „სტალინი წინადადებას იძლევა შეხვდეს ტრუმენს, რათა შეუთანხმდეს მშვიდობის პაქტის შესახებ და გადაწყვეტილ იქნას ბერლინის პრობლემა".

გაზეთმა „დეილი მირორმა" თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ცნობა 1.800 სიტყვის რაოდენობით დაბეჭდა სათაურით: „სტალინი თანახმაა შეხვდეს ტრუმენს, რათა შემუშავებულ იქნას მშვიდობის პაქტი".

ყველა გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს ი. ბ. სტალინის განცხადების გამო ამერიკის გამოხმაურების ფრთხილ ხასიათს.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი წერს: „სტალინის პასუხის გამო უშუალო გამოხმაურება მეტად ფრთხილი იყო და ამავე დროს მოწმობდა დიდ ინტერესს ყოველივე იმისადმი, რის თქმაც შეეძლო საბჭოთა ლიდერს და რაც შეიცავდა იმედს".

ნიუ-იორკი, 30 იანვარი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი დილმენი იუწყება, „თეთრი სახლი და სახელმწიფო დეპარტამენტი 30 იანვარს გულცივად შეხვდნენ რუსეთის პრემიერის იოსებ სტალინის განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი ტრუმენთან ერთად სიამოვნებით იკისრებს ვალდებულებას არ მიმართოს ომს... სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მაკდერმოტმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლაპარაკობს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დინ აჩესონის სახელით, და განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ასეთი წინადადებანი ოფიციალურად არ მიუღია და ამიტომ სახელმწიფო დეპარტამენტს საკომენტარიო არაფერი აქვს. მეორე მაღალი თანამდებობის ოფიციალურმა პირმა, რომელიც საგარეო პოლიტიკის საკითხებზე მუშაობს, აგრეთვე განაცხადა, რომ სტალინის წინადადებას ოფიციალური ხასიათი არ ჰქონია".

ამავე დროს, განაგრძობს დილმენი, სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირნი, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავენ, ამბობენ, რომ კომენტარიებს ვერ გაუკეთებენ სტალინის პასუხს მანამდე, სანამ ამ პასუხს დაწვრილებით არ შეისწავლიან, „რათა გამოარკვიონ, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ეს პასუხი და რას არ შეიძლება ნიშნავდეს". მაგრამ მათ აშკარად გამოთქვეს, რომ შეერთებული შტატები კვლავ თავიანთ წინანდელ პოზიციაზე დგანან.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დემოკრატმა ბლუმმა განაცხადა, რომ არ შეიძლება მთლად უგულებელყოფილ იქნას ი. ბ. სტალინის პასუხი.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ოფიციალური პირნი აშკარად ცდილობენ გამოარკვიონ, რა მიზანს ისახავდა რუსეთის ლიდერი ამერიკელი ჟურნალისტის კითხვებზე გაცემული თავისი პასუხით და რა პოზიცია უნდა დაიკავონ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. კორესპონდენტი წერს, რომ როგორც სახელმწიფო დეპარტამენტი, ისე თეთრი სახლი შეუდგნენ ი. ბ. სტალინის განცხადების დეტალურ შესწავლას.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეიკ-საქსესიდან იუწყება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეერთებული შტატების დელეგატმა ოსტინმა კომენტარი გაუკეთა ი. ბ. სტალინის განცხადებას და აღნიშნა, როგორც ჩანს, ეს პასუხი მშვიდობისაკენ სწორი მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენსო. მაგრამ მან დასძინა, არ ვიცი, რამდენად შორს წაგვიყვანს ეს ნაბიჯიო. ოსტინმა უარი თქვა ფორმალური კომენტარი გაეკეთებინა ი. ბ. სტალინის პასუხისათვის. მან განაცხადა, რომ ეს პასუხი შეიცავს მრავალ წანაპირობას, რაც გულდასმით უნდა იქნას შესწავლილი.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი წერს, რომ ი. ბ. სტალინის პასუხის გამო თავდაპირველი გამოხმაურება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში სხვადასხვანაირია. ზოგი ამ პასუხს მიესალმება, ზოგში კი იგი ფრთხილ ინტერესს იწვევს. სენატორმა კონელიმ თქვა: „პრემიერ სტალინის განცხადება უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა საერთაშორისო ურთიერთობაში. ეს განცხადება შეიცავს შესაძლებლობებს მშვიდობისა და ჰარმონიის დასამყარებლად. მას მიესალმებიან ყველა ისინი, ვინც საყოველთაო მშვიდობის დაცვისა და საერთაშორისო ჰარმონიის შექმნისაკენ მიისწრაფვის".

სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა სენატორმა ჯორჯმა განაცხადა, რომ პასუხი „შეიძლება შესწავლილ იქნას. შესაძლოა, იგი შეიცავს გარკვეულ დაპირებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ გამომუშავდეს დეკლარაცია, რაც რწმენას ჩაუნერგავს შეერთებული შტატების, რუსეთისა და მთელი მსოფლიოს ხალხებს. მე არ ვიცი, რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სტალინის განცხადებას, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ მის შესწავლას შეუძლია გააადვილოს ურთიერთგაგების მიღწევა".

გაზეთი „დეილი უორკერი" სარედაქციო სტატიაში წერს: „ასობით მილიონი ადამიანი მთელ მსოფლიოში მიესალმება სტალინის სამშვიდობო წინადადებებს".

„დეილი უორკერი" აღნიშნავს, რომ ი. ბ. სტალინი კვლავ იძლევა წინადადებას თავიდან იქნას აშორებული ყველა დაბრკოლება, რითაც ამართლებენ „ცივ ომს" და უდიდეს სამხედრო ასიგნობებს, და იმეორებს წინადადებას ტრუმენთან შეხვედრის შესახებ, რათა შემუშავებულ იქნას მშვიდობის პაქტი და გადაწყდეს ყველა სხვა პრობლემა მშვიდობის შესახებ.

„მშვიდობისაკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი,—წერს „დეილი უორკერი",—გაბოროტებასა და გაცოფებას იწვევს ცივი ომის ვაშინგტონელ დიპლომატებში, რომელთაც სურთ ჰქონდეთ ომის საფრთხობელა, სამხედრო კონტრაქტები და სამხედრო ბაზების ქსელი, რომელიც სულ უფრო ფართოვდება. ისინი „გარდუვალი ომის" თავიანთი მანიას ჩასჭიდებიან ადამიანთა სასოწარკვეთილებით, რომელთა მთელი მომავალი დამოკიდებულია იმ შესაძლებლობაზე, რომ ხელი მოითბონ კაცობრიობის სისხლისღვრის შედეგად. ისინი დაჟინებით ცდილობენ დააჯერონ ამერიკელ ხალხს სიცრუე „საბჭოთა აგრესიის" შესახებ. მათ არ შეუძლიათ დაასახელონ საბჭოთა კავშირის აგრესიის თუნდაც ერთი აქტი, თუნდაც ერთი ისეთი მოქმედება, რომელიც მოწმობდეს ომს ან მისწრაფებას ომისაკენ. პირიქით, საბჭოთა კავშირი ახორციელებს თავისი შეიარაღებული ძალების დემობილიზაციას, ამცირებს შეიარაღების ხარჯებს და მთელ თავის ძალებს იყენებს რეკონსტრუქციის გადაუდებელი საჭიროებისათვის.

მაგრამ მშვიდობისაკენ გადადგმული ყველა ნაბიჯის მიუხედავად, ვაშინგტონი კვლავ ცდილობს შეინარჩუნოს საომარი ატმოსფერო. ვაშინგტონი ამტკიცებს, რომ იგი მხოლოდ თავს იცავს შესაძლებელი აგრესიისაგან. მაგრამ სწორედ ვაშინგტონი ქმნის საბჭოთა კავშირის გარშემო სამხედრო ბაზებს".

ᲣᲝᲚᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. (საკდესი). პრესის წარმომადგენლებისათვის გაკეთებულ განცხადებაში უოლესი მიესალმა ი. ბ. სტალინის ინტერვიუს.

უოლესმა თქვა: „დამაიმედებელი ნიშანია, რომ ამერიკის გაზეთის კორესპონდენტის კითხვებზე პასუხის გაცემისას პრემიერ მინისტრმა სტალინმა ორი წლის მანძილზე მესამეჯერ გააკეთა წინადადება შეერთებულ შტატებთან ძირითადი უთანხმოების განხილვის შესახებ. მე დიდად ვიმედოვნებ, რომ მთავრობა გამოეხმაურება ამას.

შარშან მაისში ჩემს ღია წერილზე გაცემულ პასუხში სტალინმა კვლავ გამოთქვა რწმენა, რომ შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შეუძლიათ ერთად იარსებონ მშვიდობიანად, და მოლაპარაკების საფუძვლად მიიღო ჩემ მიერ წამოყენებული პროგრამა, რომელიც კომპრომისს მოითხოვს ორივე მხარისაგან. მისმა პასუხმა იმედი მისცა მთელი მსოფლიოს ხალხებს, მაგრამ მთავრობამ კარი დაუხშო სამშვიდობო მოლაპარაკებას.

ამჟამად პრემიერ-მინისტრმა სტალინმა კვლავ გააღო ეს კარი. მთელი კაცობრიობის სინდისი მოითხოვს, რომ ეს კარი ღია დარჩეს.

სწორედ ახლა დადგა დრო საზავო მოლაპარაკებისათვის და არა სამხედრო კავშირებისათვის. ჩვენ გზაჯვარედინზე ვდგავართ, როცა შეგვიძლია ან განვაგრძოთ ჩვენი თვითმკვლელობის პოლიტიკა—შეიარაღებისათვის მილიარდების გაცემა—ჩრდილო ატლანტიკის კავშირის მსგავსი სამხედრო პაქტების პოლიტიკა, რომლებიც კონფლიქტს იწვევენ, რაშიც ვერავინ ვერ აღმოჩნდება მოგებული, ანდა მივიღოთ სტალინის წინადადება და დავიწყოთ მოლაპარაკება, რათა ბოლო მოვუღოთ გასული რამდენიმე წლის უგუნურებას.

გერმანიის საკითხში შექმნილ ჩიხს შეიძლება მალე დავაღწიოთ თავი, თუ მოლაპარაკება ამჟამად დაიწყება. თვითეულმა, ვინც კი თვალყურს ადევნებდა გერმანიის საკითხზე მოლაპარაკებას, იცის ეს, და მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი, მათ შორის ჯონ ფოსტერ დალესი, დაეთანხმება ამას.

ჩვენი ახლანდელი ტაქტიკა ამერიკელ გადასახადის გადამხდელთ ართმევს სიუხვეს, რომელიც მათ სამართლიანად ეკუთვნით. უნაყოფო სამხედრო ხარჯები, რაც ჩვენი ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს ნთქავს, შეიძლება რამდენიმე მილიარდით შევამციროთ მიმდინარე წელს, თუ მიღწეულ იქნება ურთიერთგაგება. ეს ფული, ნაცვლად ტანკებისა და საბაზო გემებისა, სახლებისათვის, სკოლებისა და საავადმყოფოებისათვის რომ გამოვიყენოთ, იგი შეცვლის თვითეული ამერიკელის ცხოვრებას.

დადგა დრო—ამერიკელმა ხალხმა გამოთქვას თავისი აზრი ჩრდილო ატლანტიკის სამხედრო კავშირის წინააღმდეგ და მოითხოვოს სამშვიდობო თათბირი გაიმართოს ტრუმენსა და სტალინს შორის ახლა—სანამ ჯერ კიდევ ძალიან გვიან არაა. ჩვენ ვერ შევურიგდებით, რომ ასეთი შეთანხმება გადაიდოს მომავალი ომის დამთავრებამდე, როცა ბევრი როდი დარჩება ცოცხალი, რათა მის შესახებ მოლაპარაკება გამართოს".

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ლონდონი, 31 იანვარი. (საკდესი). მეტი წილი გაზეთების მთავარი თემაა ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი ამერიკის სააგენტოს „ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის" ევროპის გენერალური დირექტორის კინგსბერი სმიტის კითხვებზე.

ზოგიერთი გაზეთი ი. ბ. სტალინის პასუხს უკავშირებს საბჭოთა ნოტას ნორვეგიისადმი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას ჩრდილო ატლანტიკის პაქტის შესახებ.

გაზეთები ბეჭდავენ თავიანთ დიპლომატიურ მიმომხილველთა კომენტარებს ამ თემაზე და მიუძღვნიან მას სარედაქციო სტატიებს.

ინგლისის მეტი წილი გაზეთები ფარისევლურად აცხადებენ, მოლაპარაკება უნდა განახლდესო, მაგრამ ამავე დროს დასავლეთ სახელმწიფოებს მოუწოდებენ დაიცვან წინანდელი გეგმები.

მაგალითად, „დეილი გრაფიკი" იმ აზრისაა, რომ დასავლეთმა სახელმწიფოებმა არ უნდა გადაუხვიონ მათ მიერ მიღებულ კურსს—„თავიანთი ერთიანობის" განმტკიცებას.

„ნიუს ქრონიკლის" სიტყვით, ყველას უწინარეს ყოვლისა სურს იცოდეს, როგორ გამოეხმაურება ტრუმენი სტალინის პასუხს. ტრუმენმა უკვე ილაპარაკა, რომ სურს უშუალო მოლაპარაკება მოსკოვთან. მართლაც, წერს გაზეთი, არაფერი არ აბრკოლებს, რომ ასეთი მოლაპარაკება გაიმართოს ყველაზე დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის. დასავლეთის ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი სიხარულით მიესალმება რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების პერსპექტივას.

მაგრამ გაზეთი იქვე ამჟღავნებს თავისი სიტყვების ფარისევლობას, როცა ხაზგასმით აღნიშნავს, თითქოს „რუსეთთან ნამდვილი გაგების მიღწევის სწორი გზა დასავლეთისათვის არის თავისი ძალების განმტკიცება, დასავლეთ ევროპის გაერთიანება, ჩრდილო ატლანტიკის პაქტის შექმნა და მთელ რიგ თავდაცვით შეთანხმებათა საბოლოო დამთავრება".

ლონდონი, 31 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის პოლიტიკური წრეები თავს იკავებენ იმისაგან, რომ გარკვეული აზრი გამოთქვან გენერალისიმუს სტალინის განცხადების გამო. 30 იანვარს პრემიერ-მინისტრ ეტლისა და ინგლისის კაბინეტის მაღლობელმა წრეებმა უარი თქვეს რაიმე თვალსაზრისის გამოთქმაზე.

ლონდონი, 31 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონელ მიმომხილველთა აზრით, ი. ბ. სტალინის განცხადება დიდმნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯია, და არა მარტო მიმართვა საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრისადმი.

ლონდონში გავრცელებულია აზრი, რომ დასავლეთი სახელმწიფოები წინააღმდეგი არ იქნებიან მოხსნან თვით მათ მიერ შემოღებული სატრანსპორტო შეზღუდვანი ბერლინში,—როგორც ამის წინადადებას სტალინი იძლევა,—საბჭოთა ადმინისტრაციის მიერ შემოღებულ შეზღუდვათა მოხსნის ერთდროულად.

ლონდონი, 31 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის კაბინეტის საერთაშორისო საკითხთა კომიტეტი, როგორც ჩანს, დაუყოვნებლივ განიხილავს მშვიდობის პაქტის სასარგებლოდ გენერალისიმუს სტალინის განცხადებას, რომელიც მან გააკეთა თავის პასუხში ამერიკის სააგენტოს „ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის" ევროპის გენერალური დირექტორის კითხვებზე.

საეჭვოა, რომ მთლიანად კაბინეტმა ეს საკითხი მანამდე განიხილოს, სანამ ამ საკითხს სათანადო შეფასება არ მიეცემა ლონდონის, ვაშინგტონისა და პარიზის მოლაპარაკებაში.

პოლიტიკურ მეთვალყურეთა ყურადღება მიპყრობილია უმთავრესად ი. ბ. სტალინის შენიშვნაზე იმ პირობების შესახებ, რომლებშიც შეიძლება მოწესრიგებულ იქნას ბერლინის საკითხი.

გავრცელებულია აზრი, რომ ამჟამად ყოველი ახალი შემობრუნება დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობაში დაკავშირებულია გერმანიასთან.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

პარიზი, 1 თებერვალი. (საკდესი). პარიზის ყველა გაზეთი მთლიანად აქვეყნებს ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხს ამერიკის სააგენტოს „ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის" დირექტორის კინგსბერი სმიტის კითხვებზე, ან მოჰყავს მისი შინაარსი.

ამავე დროს გაზეთებმა მთლიანად ან ამონაწერების სახით გამოაქვეყნეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ჩრდილო ატლანტიკის პაქტის შესახებ.

ბევრი გაზეთი ბეჭდავს ამონაწერებს, ან კომენტარს უკეთებს ნოტას, რომელიც საბჭოთა ელჩმა ოსლოში აფანასიევმა ნორვეგიის მთავრობას გადასცა ატლანტიკის პაქტის მიმართ ნორვეგიის პოზიციის დაზუსტების შესახებ.

„სტალინი მზად არის ხელი მოაწეროს ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავდაუსხმელობის პაქტს". „მე არასოდეს არა ვყოფილვარ ტრუმენთან შეხვედრის წინააღმდეგი" — ეს სიტყვები ქვესათაურად მოჰყავს გაზეთ „ფრანტირერს". ცნობაში კინგსბერი სმიტის კითხვებზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხის შესახებ.

გაზეთი, თავის მხრივ, ტრუმენს შემდეგ კითხვას აძლევს: „მზად არის თუ არა ამერიკის მთავრობა სსრ კავშირთან ერთად განიხილოს საკითხი იმ დეკლარაციის გამოქვეყნების შესახებ, რომელიც შეიცავს განცხადებას, რომ არც ერთსა და არც მეორე მთავრობას განზრახვა არა აქვს იომოს ერთმანეთის წინააღმდეგ?"

გაზეთი „კომბა" აქვეყნებს ამხანაგ ი. ბ. სტალინისათვის მიცემული კითხვების ტექსტს და მათზე გაცემულ პასუხს შემდეგი სათაურით: „სტალინი აცხადებს, რომ მზად არის ხელი მოაწეროს ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავდაუსხმელობის პაქტს". „სიტყვა ახლა ეკუთვნის უკვე არა სტალინს,—წერს „კომბა",—რადგან ის სიტყვები, რომლებიც მან ეს-ეს არის თქვა კითხვების პასუხად, საკმაოდ ნათელი და ზუსტია. ჩვენ დაგვრჩენია ვიმედოვნებდეთ, რომ ის სიტყვები, რომლებსაც მას პასუხად ეტყვიან, იმედს არ გაუცრუებენ კეთილი ნების ადამიანებს".

სათაურით „სტალინის დიდმნიშვნელოვანი განცხადებანი შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის შესახებ" გაზეთი „ლუმანიტე" ამხანაგ ი. ბ. სტალინის პორტრეტის გვერდით აქვეყნებს კინგსბერი სმიტის კითხვებს და ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხს, აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას ჩრდილო ატლანტიკის პაქტის შესახებ. „სსრ კავშირი, დარწმუნებული თავისი საქმის სამართლიანობაში, მთელი ლოიალობით ემხრობა მშვიდობის საქმეს,—წერს „ლუმანიტე".—იგი საზეიმოდ აცხადებს, რომ საჭირო და შესაძლებელია უთანხმოების მშვიდობიანი მოწესრიგება".

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

ვარშავა, 1 თებერვალი. (საკდესი). პოლონური პრესა ფართო კომენტარს უკეთებს ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხს ამერიკის სააგენტოს „ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის" წარმომადგენლის კითხვებზე.

გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა" აღნიშნავს, რომ ი. ბ. სტალინის პასუხმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოს ყველაზე შორეულ კუთხეებში. ი. ბ. სტალინმა, აღნიშნავს გაზეთი, ნათლად და კონკრეტულად უპასუხა კითხვებზე, რომელთა დადებითი გადაჭრით დაინტერესებულია ყოველი ადამიანი, მსოფლიოს რა კუთხეშიც უნდა იყოს, ვინაიდან ეს პასუხი ეხება ომისშემდგომი საერთაშორისო ურთიერთობის მოწესრიგებისა და სამართლიანი მშვიდობის განმტკიცების უმწვავეს პრობლემებს.

საბჭოთა კავშირის მზადყოფნა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად შეიმუშაოს დეკლარაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ არც ერთ სახელმწიფოს განზრახვა არა აქვს მიმართოს ომს, წარმოადგენს სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის ერთ-ერთ მჭევრმეტყველურ ილუსტრაციას.

მოწინავე სტატიაში სათაურით „გზა მშვიდობისაკენ" გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ" წერს, რომ გენერალისიმუს სტალინის პასუხი ამერიკელი ჟურნალისტის კითხვებზე ცხადყოფს, რომ არსებობს შეთანხმების გზა, რომ არსებობს მტკიცე საყოველთაო და დემოკრატიული მშვიდობის უზრუნველყოფის გზა.

ამ პასუხმა, რამაც მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა ხალხთა ფართო მასებში, რომლებიც მშვიდობისაკენ მიისწრაფვიან, წერს გაზეთი, ამავე დროს დიდი შეშფოთება გამოიწვია ომის გამჩაღებელთა წრეებში. იარაღის მეფაბრიკეებისა და სიკვდილით მოვაჭრეებისათვის სამშვიდობო შეთანხმება მოგების დაკარგვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. შემთხვევითი როდია, რომ წრეები, რომლებიც ომის ისტერიით სპეკულაციას ეწევიან, ყოველნაირად ცდილობენ შეამცირონ გენერალისიმუს სტალინის პასუხის მნიშვნელობა და სკეპტიციზმს იჩენენ „საბჭოთა პასუხის გულწრფელობის" მიმართ.

სულ სხვანაირად მიიღეს გენერალისიმუს სტალინის პასუხი, აღნიშნავს გაზეთი, მთელი მსოფლიოს ხალხთა ფართო მასებმა. მათთვის ეს პასუხი გახდა მათი ულრმესი მისწრაფების გამოხატულება, ვინაიდან ამ პასუხმა განსაზღვრა არა მარტო სსრ კავშირის პოლიტიკა, არამედ თვით ამ მასების ომისსაწინააღმდეგო პოლიტიკაც.

გაზეთი აღნიშნავს ამ პასუხის უდიდეს მნიშვნელობას და წერს, რომ ამხანაგ სტალინის პასუხი გააერთიანებს ხალხთა უფართოეს მასებს მშვიდობისათვის მტკიცედ საბრძოლველად.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

პრაღა, 1 თებერვალი. (საკდესი). ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხს კ. სმიტის კითხვებზე ჩეხოსლოვაკიელი ხალხი უდიდესი ინტერესით შეხვდა და მას აფასებს როგორც იმის ახალ დადასტურებას, რომ საბჭოთა კავშირი გულწრფელად მიისწრაფვის მშვიდობისაკენ, უმნიშვნელოვანესი სადავო საერთაშორისო საკითხების გონივრულად გადაწყვეტისაკენ.

ჩეხოსლოვაკიის ყველა გაზეთი 1 თებერვალს პირველ გვერდებზე და დიდი სათაურებით აქვეყნებს ამხანაგ სტალინის პასუხს.

ბრატისლავის გაზეთი „პრავდა" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის მთავრობა გენერალისიმუს სტალინის პირით კვლავ ადასტურებს, რომ იგი ხალისით დაიწყებს მოლაპარაკებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების საკითხებზე.

ჩეხოსლოვაკიის არმიის ცენტრალური ორგანო „ობრანა ლიდუ" აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს სწორედ იმ მომენტში, როცა დასავლეთში აშკარად წარმოებს ახალი ომისათვის მზადება, შემოაქვს კონკრეტული წინადადება, რომელიც მიმართულია შეიარაღების შემცირებისა და თანამშრომლობის მიღწევისაკენ.

„გენერალისიმუს სტალინის პასუხი,—აცხადებს გაზეთი „სვობოდნე სლოვო",—კვლავ ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ახორციელებს თავის ტრადიციულ სამშვიდობო პოლიტიკას, და განსაკუთრებით ამჟამად, როცა დასავლეთში მზადდება ახალი აგრესიული ბლოკებისა და ანტისაბჭოთა კავშირების შექმნა".

გაზეთმა „პრაცემ" მოკლედ და ზუსტად გამოხატა საყოველთაო აზრი იმით, რომ ამხანაგ სტალინის პასუხს „მშვიდობის დაუღალავი დამცველის ხმა" უწოდა.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

რომი, 1 თებერვალი. (საკდესი). გუშინდელმა გაზეთებმა ყველაზე თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნეს ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი ამერიკის სააგენტოს „ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის" წარმომადგენლის კითხვებზე.

გაზეთმა „მომენტომ" კითხვებისა და პასუხის ტექსტი მოათავსა სათაურით „რუსეთი მზად არის განიხილოს დეკლარაცია მშვიდობისა და განიარაღების შესახებ".

სხვა სათაურებია: „სტალინი მზად არის შეხვდეს ტრუმენს" (გაზეთი „მესაჯერო"), „შეშფოთება დასავლეთში" (გაზეთი „მომენტო სერა").

გაზეთი „ოსერვატორე რომანო" სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს „ინტერესსა და შეშფოთებას სტალინის განცხადებებთან დაკავშირებით".

გაზეთი „რეპუბლიკა" იუწყება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა სფორცამ ამ გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში „კუნძული კაპრი დაასახელა ტრუმენისა და სტალინის შეხვედრის ადგილად".

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ

სიდნეი, 31 იანვარი. (საკდესი). ყველა გუშინდელმა გაზეთმა პირველ გვერდებზე გამოაქვეყნა მოსკოვიდან და ლონდონიდან მიღებული ცნობები ამერიკის სააგენტოს „ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის" ევროპის გენერალური დირექტორის კინგსბერი სმიტის კითხვებზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხის შესახებ.

სიდნეის გაზეთი „სანი" წერს: „სტალინი წინადადებას იძლევა ხელმოწერილ იქნას მშვიდობის პაქტი... მიმომხილველთა აზრით, სტალინის განცხადება მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯია".

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

დელი, 31 იანვარი. (საკდესი). დღეს დელის დილის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა ამერიკის სააგენტოს „ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის" ევროპის გენერალური დირექტორის კინგსბერი სმიტის კითხვებზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხის შესახებ. გაზეთებმა გამოაქვეყნეს ამხანაგ სტალინის პორტრეტები.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

პარიზი, 31 იანვარი. (საკდესი). პროფესიულ კავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის გუშინდელი დღის სხდომაზე, რომელიც ლომბარდო ტოლედანოს (ლათინური ამერიკის პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელი) თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, გრძელდებოდა განხილვა დღის წესრიგის პირველი საკითხისა: ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის წინადადება პროფესიულ კავშირთა მსოფლიო ფედერაციის მუშაობის შეწყვეტის შესახებ. სხდომაზე გამოვიდნენ მონკი (ავსტრალიის პროფკავშირთა წარმომადგენელი) და უიკრემასინგე (ინდოეთის პროფკავშირთა წარმომადგენელი).

თავისი სიტყვის დასაწყისში მონკი შეჩერდა საერთაშორისო პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი ავსტრალიის პროფკავშირების დამოკიდებულებაზე. 1945 წლამდე, თქვა მან, ავსტრალიის პროფკავშირები არ შედიოდნენ რაიმე საერთაშორისო პროფკავშირულ გაერთიანებაში. 1945 წელს, როცა დაისვა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საკითხი, ავსტრალიის პროფკავშირებმა გადაწყვიტეს შესულიყვნენ მშრომელთა ამ საერთაშორისო გაერთიანებაში, რადგან სავსებით ეთანხმებოდნენ გაერთიანების წესდებაში ჩაწერილ ყველა პრინციპს. როცა ფედერაციის შექმნისთანავე იქ მთელი რიგი სიძნელეები წამოიჭრა სხვადასხვა პოლიტიკური ტენდენციის გამოვლინების ნიადაგზე, ავსტრალიის პროფკავშირები და, კერძოდ, ის, მონკი, როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელი, იმ აზრისა იყვნენ, რომ ფედერაცია შენარჩუნებულ ყოფილიყო.

შემდეგ მონკმა თქვა, რომ მისთვის მოულოდნელი იყო ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის მარგეტის კონგრესის გადაწყვეტილება, რომელიც არსებითად იყო გადაწყვეტილება პროფესიულ კავშირთა მსოფლიო ფედერაციიდან ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გასვლის შესახებ. ამ გადაწყვეტილების გამართლება არამცდარამც არ შეიძლებოდა, რადგან პროფესიულ კავშირთა მსოფლიო ფედერაციის რომის სესიის შემდეგ, რომელმაც მთელი რიგი საკითხები მოაგვარა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გადაწყვეტილების მიღების მომენტამდე, ძალიან ცოტა ხანი გავიდა. ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის ასეთი მოულოდნელი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ავსტრალიის პროფკავშირებმა მხარი დაუჭირეს პროფესიულ კავშირთა მსოფლიო ფედერაციის შენარჩუნებას. მონკის აზრით, პროფესიულ კავშირთა მსოფლიო ფედერაცია რომ დაიშალოს მის ხელახლა შექმნას სულ ცოტა 20 წელი დასჭირდება. ამის შემდეგ მონკმა განაცხადა, მას შემდეგ, რაც დიკინმა (ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესი) და კერიმ (საწარმოო პროფკავშირთა კონგრესი) დატოვეს პროფესიულ კავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სხდომა, ალარ შემიძლია ვთქვა, თუ რა პოზიციას დაიკავებენ ავსტრალიის პროფკავშირები პროფესიულ კავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიმართ. თვით ავსტრალიის პროფკავშირებში ბრძოლაა მემარჯვენე და მემარცხენე ფრთას შორის იმაზე, გავიდნენ პროფესიულ კავშირთა მსოფლიო ფედერაციიდან თუ არა.

მონკმა ვერაფერი თქვა აგრეთვე ახალი ზელანდიის პროფკავშირთა პოზიციაზე, რომელთა წარმომადგენელიც ის არის აღმასკომის სესიაზე.

მონკის გამოსვლის შემდეგ საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენელი კუზნეცოვი შეეკითხა მას: აღმასკომს სურს იცოდეს, რა თვალსაზრისს ადგას მონკი როგორც ავსტრალიის პროფკავშირების ხელმძღვანელი, რადგან მისი სიტყვის პირველი ნაწილიდან ჩანს, რომ ავსტრალიის პროფკავშირებმა დაიკავეს პროფესიულ კავშირთა მსოფლიო ფედერაციის მუშაობის შეწყვეტის საწინააღმდეგო პოზიცია, ხოლო მეორე ნაწილიდან ჩანს, რომ მათი საბოლოო პოზიცია ჯერ გარკვეული არ არის და რომ ბრძოლაა ორ მიმართულებას შორის. მსოფლიოში, თქვა კუზნეცოვმა, ბრძოლაა დემოკრატიის ძალებსა და რეაქციის ძალებს შორის, და ამ ბრძოლაში პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ნეიტრალური ვერ იქნებიან. თუ მონკს რაიმე ეჭვი აქვს ამის შესახებ, განაცხადოს ეს აღმასკომის სხდომაზე და თქვას, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ავსტრალიის პროფკავშირებს შეეძლოთ დარჩნენ პროფესიულ კავშირთა მსოფლიო ფედერაციაში. აღმასკომისათვის სასურველია, განაგრძო კუზნეცოვმა, იცოდეს თვითონ მონკის აზრი, რადგან მის აზრს, როგორც პროფკავშირული ხელმძღვანელის აზრს, ყურს უგდებენ ავსტრალიის პროფკავშირული მასები.

კუზნეცოვის შეკითხვაზე მონკმა უპასუხა, ზემონათქვამს ვერაფერს დავუმატებო. ხოლო რაც შეეხება მისდამი მიმართულ პერსონალურ შეკითხვას მისი აზრის შესახებ, ის ამჯობინებს პასუხი არ გასცეს ამ შეკითხვაზე.

პარიზი, 1 თებერვალი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის გუშინდელ დილის სხდომაზე განიხილავდნენ საკითხს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საწარმოო განყოფილებათა შესახებ.

დი ვიტორიომ, რომელმაც მოხსენება გააკეთა ამ საკითხზე, აღმასრულებელ კომიტეტს ურჩია ნაციონალური პროფკავშირული ცენტრების საშუალებით დაავალოს გენერალურ მდივანს მიმართოს დარგობრივ პროფკავშირებსა და შესაბამის საერთაშორისო სამდივნოებს წინადადებით—შეუდგნენ საწარმოო განყოფილებათა პრაქტიკულად შექმნას. დი ვიტორიომ გაიხსენა ის წინადადებანი, რომლებიც აღმასრულებელი კომიტეტის სექტემბრის სესიაზე წამოაყენეს როგორც თვითონ მან, ისე საბჭოთა დელეგაციამ, როცა საერთაშორისო საწარმოო სამდივნოებს წინადადება მიეცათ დემოკრატიულ საფუძვლებზე მოეწვიათ დარგობრივ პროფკავშირთა კონფერენცია და თავისუფლად და საჯაროდ განეხილათ პირობები, რომლებშიც მათ სურთ ითანამშრომლონ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციასთან. დი ვიტორიომ აგრეთვე აღნიშნა, რომ საერთაშორისო საწარმოო სამდივნოების ლიდერთა იმ განცხადების პასუხად, რომ მათთვის მიუღებელია გენერალური საბჭოს მიერ პრაღაში დამტკიცებული დებულება საწარმოო განყოფილებათა შესახებ, მათ წინადადება ჰქონდათ მიცემული შეემუშავებინათ თავიანთი პირობები. მაგრამ საერთაშორისო საწარმოო სამდივნოების ლიდერებმა ამ წინადადებაზე უარით უპასუხეს. ამის შედეგად შეუწყნარებელი მდგომარეობა შეიქმნა. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას სურს საწარმოო განყოფილებათა შექმნა, ხოლო საერთაშორისო საწარმოო სამდივნოთა ლიდერები ამას ხელს არ უწყობენ. ამას ვერ შევურიგდებით. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია უნდა შეუდგეს საწარმოო განყოფილებათა შექმნას. დი ვიტორიომ წინადადება შეიტანა კვლავ მიმართონ საერთაშორისო საწარმოო სამდივნოებს. მან განაახლა აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის სექტემბრის სესიაზე გაკეთებული თავისი წინადადებანი.

დი ვიტორიოს შემდეგ გამოვიდა იენსენი (სკანდინავიის ქვეყნები), რომელმაც განაცხადა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ასეთი ნაბიჯი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს საერთაშორისო საწარმოო სამდივნოებს და გამოიწვევს მათ გათიშვას. იენსენმა მოითხოვა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ უარი თქვას საწარმოო განყოფილებათა შექმნაზე.

შემდეგ გამოსულმა ფრაშონმა (საფრანგეთი), ლიუ ნინ-იმ (ჩინეთი), უიკრემასინგემ (ინდოეთი), გებერტმა (პოლონეთი), ზუპკამ (ჩეხოსლოვაკია), სოლოვიოვმა (სსრ კავშირი) და საიანმა დაადასტურეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სურვილი — შეიქმნას საწარმოო განყოფილებები, რომლებმაც უნდა მოიცვან არა მარტო ევროპის ნაწილი, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის დარგობრივი პროფკავშირები.

სხდომის შემდეგ კომისია საიანის, დი ვიტორიოს, გებერტის და როსტოვსკის შემადგენლობით შეუდგა მსოფლიო პროფკავშირთა ფედერაციაში საწარმოო განყოფილებათა საკითხზე რეზოლუციის მომზადებას.

31 იანვრის საღამოს სხდომაზე აღმასრულებელი ბიუროს შემადგენლობის შევსების საკითხზე აღინიშნა, რომ აღმასრულებელი ბიურო აღმასრულებელ კომიტეტს ურჩევს მისი შემადგენლობიდან გასული ეუან მაგიერ დაამტკიცოს საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის წარმომადგენელი ლე ლეაპი, აგრეთვე დაავალოს ვიცე-თავმჯდომარეს დი ვიტორიოს კონგრესამდე შეასრულოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარის მოვალეობა. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ჩინეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლებმა. წინადადება მიღებულ იქნა.

აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა აღმასრულებელი ბიუროს რეკომენდაცია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში ახალ წევრთა—ჩილეს მშრომელთა კონფედერაციის (200 ათასი წევრი), მალტის მშრომელთა საყოველთაო გაერთიანების (20 ათასი წევრი), ფილიპინების პროფკავშირთა კონგრესის (100 ათასი წევრი), სამხრეთ როდეზიის პროფკავშირთა საბჭოს, სიამის პროფკავშირთა საყოველთაო კავშირის, ტუნისის მშრომელთა საყოველთაო გაერთიანების (54 ათასი წევრი) მიღების შესახებ. ყველა ეს ორგანიზაცია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში მიღებულად ითვლება 1949 წლის 1 იანვრიდან.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც უარყოფს ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს წინადადებას პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოღვაწეობის შეწყვეტის შესახებ. კენჭისყრაში თავი შეიკავეს იენსენმა, მონკმა და პალესტინის პროფკავშირთა წარმომადგენელმა.

მსოფლიოს ყველა მშრომელისადმი მიმართვის შესადგენად აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოყო კომისია საიანის, ლე ლეაპის, სოლოვიოვის, ზუპკას (ჩეხოსლოვაკია) და ტოლედანოს (ლათინური ამერიკა) შემადგენლობით. მონკმა, რომელსაც წინადადება მისცეს შესულიყო ამ კომისიაში, უარი განაცხადა კომისიაში მონაწილეობაზე.

აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა ლიუ ნინ-ის მოხსენება აზიის ქვეყნების პროფკავშირებში არსებული მდგომარეობისა და ამ ქვეყნებში პროფკავშირული მოღვაწეობისადმი ხელმძღვანელობის დარგში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამუშაო გეგმის შესახებ.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 15 თებერვალს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად **ნინო მიხეილის ასული იოგაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ლეფშურას ფესურას Iamus communis L გამღიზიანებელი თვისების ნივთიერების საკითხის შესწავლისათვის".**

ოფიციალური ოპონენტები — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **გვიშიანი** და ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **მშვიდობაძე.**

22 თებერვალს, დღის 3 საათზე, ამავე აუდიტორიაში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად **მარიამ გრიგოლის ასული კაციელაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„გავრცელების ფაქტორის მოქმედების მექანიზმი".**

ოფიციალური ოპონენტები — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ვ. ვარაზი** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ი. ზაალიშვილი.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ ნაშრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის № 2).

დირექცია

მოქალაქე **ალექსი ვასილის-ძე გირლენკომ,** მცხოვრებმა ქ. ახალციხეში, № საფოსტო ყუთი, აღძრა საქმე საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ მოქალაქე **ლუსია ლეონტის ასულ გირლენკოსთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები ალექსი, ოლღა, ვარდო და ვერა, რძალი თათუშა იუწყებიან **ელისაბედ თაფლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-II სოფ. გეგეჭკორში.

ტყავის პირველი ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **ვასილ ივანეს-ძე დვალის** გარდაცვალებას.

შვილი რაჟდენ, რძალი ქეთია, შვილიშვილები ვახტანგ, დავით, მერი, მდინარა და ბოჩია იუწყებიან **თებრონე საჯაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-II ჯვარში (წალენჯიხის რაიონი).

ნინო და გრიშა საჯაიები შვილებით გია და შუქურათი თანაგრძნობას უცხადებენ რაჟდენ საჯაიას მისი დედის **თებრონეს** გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები: ს. გასპაროვი, ა. არაბიძე, ვ. თაქთაქიშვილი, კ. ბოკუჩავა, ს. ზერეკიძე, შ. გამცემლიძე, ი. ფრანკენბერგი, შ. ტაბიძე, ე. კოჟევნიკოვი, ე. კაზანჯიანი, ვ. ბროვკო, ს. ფანიაშვილი, მ. შტიპელი იუწყებიან ინჟინერ **ივანე გიორგის-ძე ჩხეიძის** გარდაცვალებას.

დედა თამარ, დები ნელი, ცისანა, ძმა ბადურ, ბაბუა რაფიელ, მამიდები ანიჩკა, ლიზა, ქეტნა, დუნიაშა, სიძე გ. ბიწაძე, იუწყებიან **ზურაბ ხავლეს-ძე ლეჟავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-II ჭიათურაში.

მეუღლე მაქსიმე, შვილები აკაკი, შალვა უგულავები, თეოფილე და ბეცა ყურაშვილები ოჯახებით, სიძე ვ. კალანდია, რძალი ვუგე ოჯახებით იუწყებიან **მინადორა ივანეს ასულ ფირცხალავა-ყურაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა გეგეჭკორში 6-II.

მშობლები პარმენ, ვერა, ძმა რევაზ, ბებია მაკრინე, ბიძები ნიკოლოზ, რომანოზ, ბიცოლები ანეტა, თამარ იუწყებიან **ნანული მკერვალიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-II, 7 ს. გამოსვენება 4-II, 4 ს. საბჭოს, 189.

მეუღლე მარიამ, შვილები იაკობ, შალვა, თამარ, რძალი ნინო, სიძე გოგია იუწყებიან **სამსონ იაკობის-ძე კვახაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-II, 7 ს. გამოსვენება 6-II, 2 ს. საბჭოს ქუჩის III შეს. 3. (ლენინის რაიონი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მუზეუმ „ვარძიის" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ი. ქავთარაძეს მისი დედის **სოფიო ალექსანდრეს ასულ ქავთარაძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილებისა—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორი—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 110.000 უე 01209